# საქართველოს რესპუბლიკა


დაარსებულია 1918 წელს.


ოთხშაბათი, 18 სექტემბერი, 2013 წელი.
№178 (7305)


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გაცვლა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

## საქართველოს არ სჭირდება რუსეთით დაშინება ⑤





## უფრო პატრიოტული, ვიდრე კომერციული პროექტი ④

## დაგვიანებული „შურისძიება“ ⑦



## „მკვდარი სულები“ ხელფასს ② ვეღარ მიიღებენ

## საზღვარსაქეთა საზღვარგარეთი


②

## ევროკომისია გვპირდება, ხელი მოაწეროს საქართველოსთან და მოლდოვასთან შეთანხმებას ასოცირების შესახებ ⑧



## არაფრის მქნელი „ლურჯ-ყვითელა“ – დასაქმებულთა კონტროლქვეშ ③

## რაღაა იგი სინათლე...


⑥

კომპენსაციით გათავხედებულ მერია-ში მოკალათებულ ჩინოსანთა კორუფ-ციული ვნებანი და არშემდგარი სასამარ-თლო რეფორმა.

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

**სამშვიდობო მისია**

# ალასანია ჰელმანდის პროვინციას სტუმრობს

**საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია და გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი ვლადიმერ ჩაჩიბაია ჰელმანდის პროვინციაში მდებარე ქართულ ბაზა „ერედვს“ ესტუმრნენ და 42-ე ბატალიონის ჯარისკაცები მოინახულეს.**

**როგორც თავდაცვის სამინისტროდან იტყობინებიან, ქართველ სტუმრებს მისიაში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეებმა პირადად მოახსენეს ადგილზე არსებული სიტუაცია. თავდაცვის მინისტრი დეტალურად გაეცნო ქართული შენაერთის პასუხისმგებლობის რაიონში არსებულ ოპერატიულ ვითარებას.**

— 42-ე ბატალიონი ის შენაერთია, რომელმაც ყველაზე დიდი და მძიმე დანაკლისი განიცადა, მაგრამ ურთულესი ამოცანის შესრულება მაინც შეძლო. დღეს რომ მტერი იოლად ველარ უტევს ჰელმანდის რაიონის ამ კუთხეს, ამ ბიჭების დამსახურებაა. საქართველოში მუდმივად გვემახსოვრება ჩვენი ვაჟკაცები, რომლებიც ამ ბრძოლაში დაიღუპნენ. რაც მთავარია, ეს ჯარისკაცები არიან საქართველოს სახელმწიფოებრიობის სტაბილურობის საფუძველი ავღანეთიდან. დიდი სიამაყით ვართ სავსე, რომ ჩვენი სამხედრო მოსამსახურეები ასეთ რთულ ვითარებაში წარმატებით და პროფესიონალურად ართმევენ თავს დაკისრებულ ამოცანებს. ისინი ახლო კავშირში არიან ამერიკელ სამხედროებთან და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ოპერაციებში უკვე ჩართეს ავღანური უსაფრთხოების ძალები, რაც პასუხისმგებლობის გადაბარებით უნდა დასრულდეს, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ 42-ე ბატალიონის მონახულებისას ქართველი სამხედრო მოსამსახურეები უწყებრივი მედლებით — „გენერალი მაზნიაშვილი“ და „სამშობლოსათვის თავდადებული“ პირადად დააჯილდოვა.

სამშვიდობო მისიის ფარგლებში ავღანეთში ამ დროისთვის 1600-მდე ქართველი მსახურობს. ქართველი სამხედრო მოსამსახურეები აშშ-ის საზღვაო ქვეითების მხარდაჭერით სრული სპექტრის ოპერაციებს ახორციელებენ. მათი მთავარი ამოცანა ტერორიზმთან ბრძოლა, პროვინციის სამოქმედო არეალში მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით პატრულირება და მოძრავი საკონტროლო საგუშაგოების მოწყობაა.

**ინტერპრესი**



**რუსეთის ამაო მცდელობა**

# საზღვარსაქეთა საზღვარგარეთი

**ვლადიმერ პუტინი „სამხრეთ ოსეთთან სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ ხელშეკრულების გაფორმებას ითხოვს. შესაბამისი დავალება მან უკვე მისცა ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ გამართოს მოლაპარაკებები „სამხრეთ ოსეთის“ მხარესთან და მოლაპარაკებების შედეგად რუსეთის ფედერაციის სახელით ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას „სამხრეთ ოსეთთან სახელმწიფო საზღვრის შესახებ“.**



არსებული ინფორმაციით, შეთანხმებით განისაზღვრება სახელმწიფო საზღვრის ზოლი რუსეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს შორის. როგორც რუსეთის მთავრობის პრესსამსახურში აღნიშნავენ, ზემოხსენებული ხელშეკრულების გაფორმება, ხელს შეუწყობს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრის საერთაშორისო-სამართლებრივ გაფორმებას და სასაზღვრო რეჟიმის გაძლიერების განხორციელებას.

რუსეთის პირველი პირის განცხადებას გამოხმაურება მოჰყვა საქართველოში. დოკუმენტი ცხინვალსა და რუსეთს შორის სახელმწიფო საზღვრის შესახებ საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევაა და მას არანაირი იურიდიული ძალა არ აქვს. მას შემდეგ, რაც საგარეო უწყებამ რუსეთსა და ცხინვალს შორის ე.წ სახელმწიფო საზღვრის შესახებ დოკუმენტის გაფორმებაზე შეიტყო, შვეიცარიის საელჩოს მეშვეობით რუსეთს საპროტესტო ნოტა გაუგზავნა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის დავით ზალკალიანის განცხადებით, ეს არის საერთაშორისო ნორმების დარღვევა. შესაბამისად, ამ დოკუმენტს არანაირი იურიდიული ძალა არ აქვს და საერთაშორისო ნორმების შესაბამისად ბათილად იქნება ცნობილი.

„საპროტესტო ნოტით მყისიერად მივმართეთ რუსეთის ფედერაციას. შვეიცარიის საელჩოს მეშვეობით გავუგზავნეთ საპროტესტო ნოტა, სადაც აღნიშნულია, რომ ნებისმიერი მსგავსი სახის ხელშეკრულების გაფორმება საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევაა და მას არანაირი იურიდიული ძალა არ აქვს და ბათილად იქნება ცნობილი“, — განაცხადა დავით ზალკალიანმა.

პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე განმარტავს, რომ რუსეთსა და ცხინვალის რეგიონს შორის არანაირი სახელმწიფო საზღვარი არ არსებობს და აქვე განმარტავს, რომ საქართველოს საგარეო უწყება, ამ საკითხის მიმართ მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებაზე საქმის კურსში ჩააყენებს საერთაშორისო თანამეგობრობას და დასავლეთს.

„არანაირი სახელმწიფო საზღვარი არ არსებობს. ცხინვალთან არის მხოლოდ ადმინისტრაციული საზღვარი, სადაც უკანონოდ ივლება მავთულხლართები რუსეთის მიერ. რუსეთი ყოფს ადამიანებს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ერთად ცხოვრობდნენ“, — აღნიშნა foe.ge-სთან საუბრისას ზურაბ აბაშიძემ.

არაა გამორიცხული, ეს საკითხი გახდეს მომავალ კვირას ზურაბ აბაშიძისა და გრიგორი კარასინის მოლაპარაკების ერთ-ერთი თემა. როგორც აბაშიძემ აღნიშნა, ძირითადი თემები სავიზო რეჟიმი, სატრასპორტო კავშირები და რეგულარული ავიარეისები იქნება.

„ხელშეკრულება ცხინვალსა და რუსეთს შორის ე.წ. საზღვრის შესახებ უბრალო ქაღალდი იქნება და მას მსოფლიოში არავინ აღიარებს“, — ასე გამოეხმაურა ვლადიმერ პუტინის ინიციატივას საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში, პაატა ზაქარეიშვილი, რომლის თქმით, რუსეთის მხრიდან ამ ტიპის გადაწყვეტილებები პირველი არ არის და ის რასაკვირველია, უკანონოა.

მისივე თქმით, გაცილებით მნიშვნელოვანია იმ მოსახლეობაზე ზრუნვა, რომელიც ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის სიახლოვეს ცხოვრობს და მათზე ამგვარი პრობლემები უშუალოდ აისახება.

პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომიტეტის თავმჯდომარე foe.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ საზღვრის დაფიქსირება დემონსტრირებაა იმისი, რომ რუსეთი ნაკლებად ითვალისწინებს იმ საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულების პირობებს, რომელიც აღნუსხულია საერთაშორისო ვალდებულებებში. გია ვოლსკის განცხადებით, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ალტერნატივა არ აქვს. ამდენად, დღეს თუ ამას ერქმევა რუსეთ-სამხრეთ ოსეთის „საზღვარი“, მისივე თქმით, ძალიან მალე მოვა დრო, როდესაც ეს იქნება საქართველო-რუსეთის საზღვარი.

**თამთა ქარჩავა**

**ინფორმაცია**

## „მკვდარი სულები“ ხელფასს ველარ მიიღებენ

**თბილისის საკრებულოში რეორგანიზაციის დეტალებს განმარტავენ. საკრებულოს აპარატის თანამშრომელთა დაგეგმილ შემცირებასთან დაკავშირებით საკრებულოს უმცირესობის წევრების მიერ გაკეთებულ განცხადებებს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა სამუშია და საკრებულოს აპარატის უფროსი გიორგი ფიცხელაური გამოეხმაურნენ.**



**ჯაბა სამუშიამ ჟურნალისტებს 2012 წლის ოქტომბრამდე არსებული საშტატო ნუსხა წარუდგინა და აღნიშნა, რომ იმ დროისათვის საკრებულოში ე.წ. მკვდარი სულები იღებდნენ ანაზღაურებას.**

**— ჩვენ მივდივართ იქითკენ, რომ მოხდეს ოპტიმიზაცია. საჭიროა შემცირდეს გაბერილი შტატები და საკრებულოში გაფორმებულმა ე.წ. „მკვდარმა სულებმა„ ხელფასი, რომელიც მასწავლებელთა ანაზღაურებას სულ ცოტა ორჯერ აღემატება, აღარ აიღონ. ასევე მინდა განვმარტო, რომ საკრებულოში რეალურად 13 საშტატო ერთეული მცირდება. ამიტომ, მოვუწოდებ ჩემს კოლეგებს „ნაციონალური მოძრაობიდან“, თავი დაანებონ ჭორების გავრცელებას. საზოგადოებამ უნდა იცოდეს სიმართლე და სიმართლე არის ის, რომ 2010 წელს პოლიტიკური ნიშნით სწორედ მათ გაათავისუფლეს 46 ადამიანი და ეს საქმეები დღემდე სასამართლოშია, — განაცხადა ჯაბა სამუშიამ.**

**საკრებულოს აპარატის უფროსის გიორგი ფიცხელაურის განმარტებით კი, საკრებულოში მართლაც არის დაგეგმილი რეორგანიზაცია.**

**კაკალ გულში**

# წერტილოვანი ფრაზები

● რაიო ჰუმან რაიტელმა დიტრიხმა, საქართველოში პიდარასტების დაცვას უნდა მივხედოთო, მინისტრის მოადგილეები უნდა დავტუქსო და ახალი კანონი უნდა მივაღებინოო?

დიტრიხა, თქვენი ლესბიანკა წინაპარი . . . „იდენტობა“, მარადგამჭვირვალე ნჯო-ები და რესპუბლიკური პარტიაც!

● პრეზიდენტობის კანდიდატები მშლიან მეგობრების სიიდან , მალე არავინ აღარ დამრჩება.

● რატომღაც მგონია 112— ში იაკობაშვილი ან უდუმაშვილი რეკავენ, ბომბების თაობაზე...

● „შოთა რომ არა,
ტატო რომ არა,
ვაჟა რომ არა,
კიდევ ჰო, მარა ?
ესენი როა?!“

● უნივერსიტეტში რექტორი მგონი ერთი თვეც არაა ჯერ რაც მოვიდა, ერთი იმ სტუდენტების აქციის მიზანი გამაგებინეთ დღეს რომ ხვინტრიცებდნენ, მგონი სპორტად გადაექცათ ამათ უნივერსიტეტის ლანძღვა... არ გინდათ? მიბრძანდით თუ უკეთესი გეგულებათ სადმე. ძალით ჩაგაბარებინათ აქ ვინმემ?

● ექსპერტი — ძველი შუმერული სიტყვაა და თავგადაპარსულ ან წვერმოშვებულ უსაქმურს ნიშნავს.




● რატომ არის, რომ ამ ხელისუფლებაში ქალი მინისტრები 10000000-ჯერ უფრო მაგრები არიან? (როგორც მინისტრები!)

● ახლა რომ ვუყურებ ქართული TV ეთერს სხვადასხვა არხზე, მგონი ვენესუელა-ბრაზილიის სერიალების გადამღები ჯგუფები დებენ ბომბებს. ყველა არხზე თურქული სერიალებია..

● ალო „რუსთავი 2“-ია?
დიახ!
112-ში ბომბია!!!
დებილო, პირიქით უნდა დარეკო.

● საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა (ვიმეორებ „პრეზიდენტმა“) „რუსთავი 2“-ის პირდაპირ ეთერში ბრალი დასდო საქართველოს პარლამენტის წევრ ირინა იმერლიშვილს კორუფციაში.

საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წევრი და გენერალი ირინა იმერლიშვილი „რუსთავი 2“-ის პირდაპირ ეთერში ბრალს დებს პრეზიდენტ სააკაშვილს კორუფციულ გარიგებებში.

არის თუ არა ეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველი და უნდა დაისაჯოს თუ არა, ან ერთი, ან მეორე?

კბილაშვილო, თუ შენი გამომძიებლები არაფერს არ გეუბნებიან, ტელევიზორი მაინც ჩართე!

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძე**

**კონფლიქტის ზონა**

## დიცში რუსებმა ე.წ. სასაზღვრო-სადემარკაციო სამუშაოები განაახლეს

**აღნიშნულ ტერიტორიაზე დაახლოებით თვენახევრის წინ მიმდინარეობდა ლითონის ბადეების გავლება, თუმცა მოგვიანებით რუსმა სამხედროებმა აღნიშნული სამუშაოები შეაჩერეს და გუშინ კვლავ განაახლეს.**



**თვეენახევრის წინ, როდესაც რუსმა მესაზღვრეებმა ეს სამუშაოები დაიწყეს, ადგილობრივებს 1922 წლის რუკა აჩვენეს და უთხრეს, რომ აღნიშნული ტერიტორია ე.წ. სამხრეთ ოსეთის შემადგენლობაში შედიოდა. თუმცა ადგილობრივი მაცხოვრებლები აცხადებენ, რომ ისინი არ აპირებენ პოზიციების დათმობას და არ დაუშვებენ მათი საცხოვრებელი სახლები ოსური მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე მოექცეს.**

**სოფლის რწმუნებული ზაქარია ვატიკაძე აცხადებს, რომ აღნიშნული სიტუაცია მდგომარეობას დაძაბავს. მისივე თქმით, რუსმა სამხედროებმა ერთ-ერთ ადგილობრივ მოსახლეს ილია ბერუაშვილს განუცხადეს, რომ თუ წინააღმდეგობის გაწევას ექნებოდა ადგილი, მასაც და მის თანამოაზრეებსაც დააკავებდნენ და ცხინვალის მიმართულებით გადაიყვანდნენ.**

დედაქალაქი



# არაფრის მაქნისი „ლურჯ-ყვითელა“ - დასაქმებულთა კონტროლქვეშ

**თბილისელებს კარგად გვახსოვს ის ვნებათაღელვა, რომელიც საქალაქო და საზოგადოებრივი ტრანსპორტით — მეტროთი, ავტობუსით, სამარშრუტო ტაქსით — მგზავრობის გაძვირებას მოყვა. ამის თაოსან დედაქალაქის მერიას მოქალაქეთა დიდმა ნაწილმა პროტესტიც კი გამოუთქვა, საკმაოდ მწვავედაც, თუმცა ყოველივე დარჩა ხმად მღაღადებლისა.**

ბუნებრივია, მგზავრობის გადიდებული საფასურის გადახდაზე სათანადო კონტროლის დაწესება გახდა საჭირო. თუ მეტროსა და სამარშრუტო ტაქსში ეს არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს, მეორად „ყვითელა“ ავტობუსებში, სადაც თავდაპირველად ასევე უვარგისი საბილეთო აპარატები დადგეს, მარტო მგზავრთა ნამუსად ყოფნა აშკარად არასაკმარისად მიიჩნიეს და სამგზავრო ბილეთის შეძენაზე კონტროლი დაგვიწესეს, მაგრამ რა დაგვიწესეს! ერთი რომ ყვითელ უნიფორმაში გამოწყობილი კონტროლიორების დიდი ნაწილი არა თუ ზრდილობით და გარკვეული ადამიანური თვისებებით, რბილად რომ ვთქვათ, არ გამოირჩევა, პირიქით, ამ ნიშნების აშკარა დეფიციტს განიცდის. ამის მომსწრე, დარწმუნებული ვარ, ბევრი ჩვენგანიც ყოფილა, ანდა, სულაც, აგრესიული შეტევის ობიექტი გამხდარა, როცა მგზავრის თავს წამომდგარი, ანდა ავტობუსის გაჩერებაზე დახვედრილი კონტროლიორი არანაირ ახსნა-განმარტებას არ ისმენს რაღაც მიზეზით უბილეთო მგზავრისგან. რაოდენ საწყენიც არ უნდა იყოს, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ზოგჯერ მგზავრებიც ამაზრზენად იქცევიან, რის მომსწრე № 14 ავტობუსში ცოტა ხნის წინათ ჩვენი კოლეგა გახდა. ყვითელ უნიფორმიან ახალგაზრდას, ასე 20-22 წლის კონტროლიორს, საშუალო ხნის მამაკაცი ისე უდიერად, შეურაცხმყოფელად ელაპარაკა — შენ ვინ გკითხავს, მე ბილეთი მაქვს თუ არა მაქვს, შე ლაწირაკო, შე მათხოვარო, შე ასეთო და ისეთო, აქედან წაეთრიე, თორემ მე ვიცი, რასაც გიზამო და ა.შ., — რომ ამის ატანა სრულიად წარმოუდგენელი იყო. ავტობუსის სალონში მსხდომნი კი ამ უტიფარი ვითომდა „თბილისელის“ თავხედობას ხმის ამოუღებლად უსმენდა. ბოლოს მაინც ჩვენ ფიცხ და გულმართალ კოლეგას, პატარა და გულცეცხლა ქალბატონ დ. ხ.-ს მოთმინების ფიალა აევსო და ხეპრე, გაუთლელ მამაკაცს, რომ იტყვიან, კუდით ქვა ასროლინა და ავტობუსიდან დროზე ადრე ჩასვლა ბუზღუნ-ბუზღუნით აიძულა. მისი თანხმლების, ასევე ჩვენი კოლეგის მონათხრობით, ბრიყვი მგზავრის, „მყრალკურდღელას მორჯულების“ სცენა იმდენად შთამბეჭდავი ყოფილა, რომ ავტობუსის მძღოლს ეს ქალბატონი დამახსოვრებია და იმავე დღეს, რაღაც სასწაულით ისევ იმავე ავტობუსში რომ ასულა, სულაც უბილეთოდ წაყვანა შეუთავაზებია...

მეორე საყურადღებო გარემოება ისაა, რომ ბოლო დროს ყვითელუნიფორმიანი კონტროლიორები მარშრუტების გარკვეულ მონაკვეთზე კი არ ამოწმებენ მგზავრთა „გაბილითიანებას“, არამედ... პირველიდან ბოლო გაჩერებამდე დაყვებიან ავტობუსებს, რითაც, ფაქტობრივად, უწინდელი კონდუქტორები ჩაანაცვლეს და დროდადრო ახალამოსულებს ჩამოუვლიან ბილეთის შეძენის მოთხოვნით, თუმცა კი, კაცმა რომ თქვას, ესეც, მათ უფროსთა პრობლემაა.

ხოლო მესამე, და, ჩემი აზრით, ყველაზე გასაკვირია ახლა ამ ყვითელუნიფორმიანი კონტროლიორების გვერდით... ლურჯუნიფორმიანი კონტროლიორთა წყვილების გამოჩენა, რომლებიც საჯარიმო სანქციების გამოსაყენებლად სულ მზადყოფნაში არიან, რასაც უტყუარად მათი აღკაზმულობა მოწმობს. თანაც, როგორც ჩანს, ყოველგვარი მოულოდნელობისგან თავის ასაცილებლად (ვინ იცის, ემანდ რა ხდება!), წყვილ-წყვილად დაბრძანდებიან. კაცმა რომ თქვას, ეგეც არაფერი ბედენა იქნებოდა, რომ არა ამ „ზემაკონტროლებელთა“ რაოდენობა: ორიოდე დღის წინათ № 21 ავტობუსით მგზავრობისას სარკინიგზო სადგურიდან საბურთალოში ვაჟა-ფშაველას ძეგლამდე მგზავრობამ მომიწია, რა დროსაც თხუთმეტი გაჩერება გამოვიარე და კონტროლის-კონტროლის ოთხმა წყვილმა გადაგვამოწმა ყველანი!

წელან ერთი გაუთლელი მგზავრის ამბავი ხომ მოვყევი, ამჯერად „ლურჯოსან კონტროლიორთა“ ახლად შექმნილი მონიტორინგის სამსახურის, ასე ვთქვათ, „სპეცრაზმის“ წევრთა ქცევაზე აუცილებლად უნდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა. ძნელი სათქმელია, მათ კონტინგენტს თბილისის ყვითელი ავტობუსების კომპანიაში მონიტორინგის სამსახურში გაავებულობის პრინციპით არჩევენ, გულაგის ზედამხედველთა მსგავსად საამისოდ რაიმე საგანგებო დირექტივებს აძლევენ თუ თავადვე ასეთი ბუნების ხალხი მიდის ამ სამუშაოზე, ბევრი მათგანი თავისი ხეპრეობითა და ხორკლიანობით იმდენად გამორჩეულია, რომ მგზავრებს თავი რომ დავანებოთ, ბევრმა „ყვითელოსანთა კონტროლიორმაც“ კი ჩვენთან საუბარში აშკარად არასაპარლამენტო სიტყვებით მოიხსენია.

როგორც ჩანს, ამ ლურჯოსანი“ გუნდს განსაკუთრებული, პრივილიგებული ადგილი უჭირავს კომპანიაში, რადგან ავტობუსების შემმოწმებელთა შემმოწმებლები ავტობუსებით კი მოძრაობენ, როგორც ამას გულუბრყვილო კაცი იფიქრებდა, არამედ... საგანგებოდ მათთვის შეძენილი და სათანადოდ შეღებილი ავტომანქანებით! მა-ა-აშ!!

ახლა კიდევ თბილისის მერიის წარმომადგენლები იმასაც გაიძახიან, საქალაქო ავტობუსების პარკის დიდი ნაწილი ამორტიზებულია და განახლება სჭირდებაო. ისმება კითხვა: თუ მგზავრობის საფასურის გაზრდის შემდეგ მერიას იმდენი ფული შესდის, რომ 50-თეთრიანი ბილეთების გაკონტროლებაზე მის კონტრაქტორს ამდენი ფული აქვს, რომ უამრავი, ღირებულის არშემქმნელი ხალხი დაასაქმოს, რაღა ისედაც სიდუხჭირით სულამოხდილ მოსახლეობის ხარჯზე აკეთებს ამას?

არავის ეგონოს, ამ კონტროლიორთა თავად დასაქმების საკითხისადმი მქონდეს პრეტენზია, მაგრამ განა მარტო დასაქმებისთვის დასაქმებაა საქმე მერე სათქმელად, ახალი სამუშაო ადგილები შევქმენითო?!

**ოთარ მერიშვილი**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

დილეტანტობის მორევი

# „ოცნების“ დამუხრუჭება“

**სამწუხაროდ, დილეტანტიზმი ჩვენი დროის სიმბოლოა, იგი ცხოვრების ნორმად იქცა... მხოლოდ ამ რვა სიტყვის დაწერა მოვასწარი, როდესაც მეზობელი ახალგაზრდა (სტუდენტი) მეწვია. მოიბოდიშა და წასაკითხავად წიგნი მთხოვა. სანამ წიგნების თაროში ვიქექებოდი, მან თვალი კომპიუტერის მონიტორს შეავლო და მკითხა თუ რას ნიშნავდა სიტყვა „დილეტანტიზმი“.**

**მივხვდი რომ, სანამ სტატიის წერას განვაგრძობდი, სტუმრისთვის და მასთან ერთად მომავალი სტატიის ზოგიერთი მკითხველისთვისაც ამ სიტყვის მნიშვნელობა უნდა განმემარტა — სამწუხაროდ...**

დილეტანტიზმი იგივეა, რაც დილეტანტობა და ზერელე ცოდნას, საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებას ნიშნავს. უბრალოდ უვიც, გაუნათლებელი ადამიანისგან დილეტანტი გაუმართლებელი თავდაჯერებულობით, მისი გარემოს, საქმის მიმართ პირველყოფილი მიამიტობით და უბიწო შინაგანი თავხედობით გამოირჩევა. სულ მარტივად თუ ვიტყვით: მასში თვითკრიტიკული განწყობა საკუთარი თავის მიმართ თითქმის, ან სულაც არ არსებობს.

უშუალოდ ყოვლისმომცველ დილეტანტიზმზე თუ გადავალთ, შეიძლება ითქვას, რომ საპარლამენტო არჩევნებზე „ოცნების“ გამარჯვება ამომრჩევლების პროტესტული განწყობის შედეგი იყო. რასაკვირველია, ახლო მომავლის პოზიტიური მოლოდინიც არსებობდა, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ, როგორც აგრესიული პროტესტის სავარაუდო და სანატრელი შედეგი. მეტიც: ნებისმიერ შემტევ აგრესიულობას, ისეთივე სწრაფი შედეგის მოლოდინი ახასიათებს. რა დინამიურობაც აქვს აგრესიულ შემტევობას, მით უფრო სწრაფი და უკომპრომისო შედეგს ელის კაცი. გაურკვეველი ვითარება (სახელად „კოჰაბიტაცია“) არც დინამიური, არც შემტევი, არც უკომპრომისო რამ აღმოჩნდა. „ოცნების“ მხარდამჭერებისთვის ეს განვლილი პროტესტული დინამიკის დამუხრუჭებას ნიშნავდა და დღესაც ნიშნავს. ამ დამუხრუჭებამ „ოცნების“ მხარდამჭერთა უმრავლესობაში იმედგაცრუება და გაღიზიანება წარმოშვა. აქ არ არის ლაპარაკი ადამიანთა პოლიტიკურ, დემოკრატიულ ან მოქალაქეობრივ-ზნეობრივ შეგნებაზე — შინაგან ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე: არჩევნების პერიოდის **სულიერ კომფორტთან** და არჩევნების შემდგომ **სულიერ დისკომფორტთან**. ამ ყველაფერს წინასწარი გათვლა სჭირდებოდა, **იმდენად არა დაპირებების, მათი შესრულების ვადების ან რიტორიკის სტილისტიკის გათვალისწინებით (თუმცა ესეც მნიშვნელოვანია), არამედ სუფთა პოლიტტექნოლოგიური საშუალებების გამოყენების თვალსაზრისით. სწორედ პოლიტიკური ტექნოლოგიების უგულებელყოფა მიგვანიშნებს ზერელე ცოდნაზე, საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებაზე, თავხედურ თავდაჯერებულობაზე და პირველყოფილ მიამიტობაზე — დილეტანტობაზე.**

პარტიის შექმნასთან დაკავშირებით, „ოცნების“ რამდენიმე ჩინოსანს, რჩევის სახით ჯონ მაქსველი ვუხსენე (ჯონ ს. მაქსველი: „შეფი და მისი გუნდი — როგორ შევქმნა ჩემი ოცნების გუნდი“. John C. Maxwell „Developing The Leaders Around You“) — ჩემთან მოსულ მეზობელ სტუდენტივით შემომხედეს... იგივე განმეორდა მოახლოვებულ არჩევნებთან დაკავშირებით: საუბარში გაკვრით ერიკ ბერნი ვახსენე („თამაშები რომლებსაც ადამიანები თამაშობენ“ და „ადამიანები, რომლებიც თამაშებს თამაშობენ“ — Eric Berne: „Games People Play“, „What Do You Say After You Say Hello! “). ეს გაკვრით ნახსენები ავტორები პოლიტიკური ტექნოლოგიების ავტორიტეტებს არ წარმოადგენენ, მაგრამ მათი „გაცნობა“ ნამდვილად არ აწყენდა ნებისმიერ პოლიტიკოსს, განსაკუთრებით კი პარტიულ მშენებლობაში თუ არჩევნებში ჩართულს. **პოლიტტექნოლოგია არ ითვალისწინებს სიცრუეს. დაპირებები, მათი შესრულების ვადები, საჯარო რიტორიკის სტილისტიკა ირიბად თუ ახდენენ გავლენას ადამიანთა უმრავლესობის აღქმაზე — აქ სულ სხვა მექანიზმები მართავენ პოტენციური ამომრჩევლის ემოციებს, ნდობის სურვილს და მასზე დაფუძნებულ საკუთარ გამამართლებელ ლოგიკას — საბოლოო ანგარიშით კი, ურყევ თანაგრძნობას და თანამონაწილეობის შეგრძნებას. პოლიტტექნოლოგისთვის ის კი არ არის იმდენად საინტერესო, თუ რას ფიქრობს ადამიანი, მისთვის უფრო საინტერესოა რას და როგორ განიცდის იგი.**

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენს რეალობაში დილეტანტობას მყარი სოციალური დასაყრდენი აქვს. **ნებისმიერი საშუალოდ ანაზღაურებადი სამსახური იმდენად პრიორიტეტულია, რომ მისი შედარება მოქალაქეობრივ-პოლიტიკურ მრწამსთან, პროფესიულ ღირსებასთან, თანამდებობრივ სინდისიერებასთან უბრალოდ სასაცილოა.** ამიტომ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურებში აშკარად შეიმჩნევა ნათესაობრივ-მეგობრული და სხვა სახის პროტეჟირება, რასაც ავტომატურად იმ სივრცეში არაკომპეტენტურობის და დილეტანტობის „ზეიმი“ მოჰყვება. დიახ, დილეტანტიზმი ჩვენი ცხოვრების ნორმად იქცა — ადამიანში თვითკრიტიკული განწყობა საკუთარი თავის მიმართ თითქმის აღარ არსებობს... ამით დავიწყე, ვინაიდან, **შინაგანი უპასუხისმგებლობა ხრწნის ადამიანს, ერს, ქვეყანას ანგრევს**. თბილისში, გამართულ, მდიდრულ ქართულ მეტყველებას იშვიათად თუ მოვკრავთ ყურს, ეს კი აშკარა დეგრადირების ნიშანია — უმთავრესი „სიმპტომი“, რომლიდანაც დეგრადირება სათავეს იღებს. ის სტუდენტი და ის „ოცნების“ ჩინოსნები ნამდვილად საჭიროებენ განმარტებას: **დეგრადირება ქართულად გადაგვარებას ნიშნავს,** ჩემო კარგებო. ეს ეროვნული ტრაგედიის სათავეა. პოლიტიკა კი, მაგალითად, ამ დაკნინების მხოლოდ ერთერთი მცირე, შედეგობრივი, ნაწილია. და რახან ამაზე გვქონდა საუბარი — ამ თემითვე დავამთავრებ: სავსებით დასაშვებია, რომ „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატმა სათანადო საარჩევნო კამპანიის გარეშეც გაიმარჯვოს — მის სასარგებლოდ, ჯერ კიდევ შემორჩენილმა, ელექტორალურმა ინერციამ იჩინოს თავი. მაგრამ ასეთი გამარჯვება ახლო მომავალში აუცილებლად გაცილებით დიდ ზიანს მიაყენებს „ოცნებასაც“ და მთლიანად ქვეყანას. დილეტანტობას საზარალო კვალი რომ არ დაეტოვებინოს — კაცობრიობის ისტორიას ასეთი რამ არ ახსოვს. დილეტანტობა უკვე ეროვნულ სენად იქცა. ამის მტკიცებულება ჩვენს თვალწინაა — პრეზიდენტობის მსურველთა რაოდენობა!..

**მალხაზ ჟვანია**



# უფრო პატრიოტული, ვიდრე კომერციული პროექტი

**კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ხალხში უფრო თოდუას კლინიკის სახელით რომ არის ცნობილი, კიდევ ერთხელ მოექცა პრესისა და საზოგადოების ინტერესის სფეროში.**

**ახლახან აქ ხელი მოეწერა მორიგ კონტრაქტს ახალი ულტრათანამედროვე სამედიცინო აპარატურის შეძენის თაობაზე. მალე აქ ორი ახალი, ბოლო თაობის სხივური თერაპიის დანადგარი ამოქმედდება.**

**სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მსგავსი პრეცედენტები ამ დაწესებულებისთვის უცხო არ არის და იგი ხშირად გამხდარა ფართო საზოგადოების დაინტერესების საგანი.**

**არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ აქ არის ბევრი ისეთი აპარატურა, რომლის მსგავსიც მრავალი, თანამედროვე ევროპული კლინიკისთვისც საოცნებოა, არაერთი უცხოელი ექსპერტი თუ სპეციალისტი აღფრთოვანებულა ასეთ მცირე სივრცეში მსგავსი უნიკალური დანადგარების კონცენტრაციით.**

**და ახლაც დამსწრე საზოგადოება მორიგი, სრულიად უნიკალური პროექტის დაგვირგვინების მოწმე შეიქნა — აპარატი, რომლის შეძენასაც მოეწერა ხელი, გახლავთ ცნობილი ამერიკული ფირმა „ვარიანის" წარმოების „თრუბიმის" მოდელის მაღალი ენერგიის სხივური ამაჩქარებელი — თანამედროვე ონკოლოგიაში სხივური თერაპიისთვის განკუთვნილი ბოლო თაობის ერთ-ერთი საუკეთესო დანადგარი.**

და მაინც, რით არის იგი ესოდენ გამორჩეული?

ვიდრე ამაზე ორიოდ სიტყვით მოგახსენებდეთ, მცირეოდენი გადახვევა: საქართველოში ყოველწლიურად აღირიცხება 7000 ახალი ონკოლგიური პაციენტი, რომელთა 65-70%-ს სხივური თერაპიის პროცედურების ჩატარება ესაჭიროება. ეს აქამდეც კეთდებოდა და ახლაც კეთდება საქართველოში, მაგრამ მოძველებული აპარატურა სასურველ შედეგს ვერ იძლევა, რადგან დასხივება სიმსივნით დაავადებული ორგანოს ჯანსაღ ნაწილებსაც აზიანებს. „თრუბიმის" საშუალებით კი, ხდება მხოლოდ სიმსივნურად გადაგვარებული ქსოვილების დასხივება, თანაც ისე, რომ ფაქტობრივად არ ზიანდება ჯანსაღი ქსოვილები.

მინდა ყურადღება გავამახვილო ამ პროექტის კიდევ ერთ ასპექტზე, რომლითაც იგი დღევანდელი საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და რისი გათვალისწინებითაც ხელმოწერის შემდეგ სავსებით სამართლიანად აღინიშნა, რომ **ეს პროექტი არის უფრო პატრიოტული, ვიდრე კომერციული**.

საქმე ის გახლავთ, რომ ყოველივე ზემოთქმულის გამო საქართველოს მოქალაქეთა დიდი ნაწილი, კვალიფიციური სხივური თერაპიის კურსის გავლისთვის, იძულებულია, საზღვარგარეთ წავიდეს სამკურნალოდ, რაც ძალიან დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, რისი სახსარიც მოსახლეობის უმრავლესობას არანაირად არა აქვს და მოკლებულია მკურნალობის შესაძლებლობას.

საქართველოში „თრუბიმის" ამოქმედებით ამ პრობლემის გადაჭრას რეალური საფუძველი ეყრება, რადგან საქართველოში ონკოლოგიური დაავადებების სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე, დღესდღეობით სულ მცირე ხუთი-ექვსი ასეთი აპარატია საჭირო. ავადმყოფებს ეძლევათ საშუალება ადგილზევე, საზღვარგარეთ გაუმგზავრებლად მიიღონ სწორი და სრულფასოვანი დახმარება. სწორედ ამ პატრიოტული მოტივით ხელმძღვანელობდა ბატონი ფრიდონ თოდუა, როდესაც თანამედროვე სხივური თერაპიის აპარატის შეძენაზე დაიწყო ფიქრი.

ფიქრს ძიება მოჰყვა, ძიებას — სპეციალისტთა წრეებში, მსოფლიოს წამყვან კლინიკებში ექსპერტებთან საფუძვლიანი კონსულტაციები და, როგორც შედეგი, მიღებული გადაწყვეტილება — ამერიკული ფირმა „ვარიანი", საბოლოო, სანდო და უალტერნატივო პარტნიორი, როგორც დღევანდელ მსოფლიო სამედიცინო პრაქტიკაში საუკეთესო სხივური ამაჩქარებლების მწარმოებელი. ხანგრძლივი და საკმაოდ დაძაბული მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა. შედეგად მივიღეთ ხელშეკრულება, რომელსაც კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში მხარეებმა მოაწერეს ხელი.



**ფრიც დერერი — „ვარიანის" ევროპის ოფისის ხელმძღვანელი:**

ის, რაც დღეს მოხდა, როდესაც ხელი მოეწერა კონტრაქტს, არის საქართველოში კიბოს მკურნალობის განხრით ახალი ათვლის წერტილი. „თრუბიმი" უახლესი ტიპის აპარატია, რომელსაც ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობის უამრავი საშუალება აქვს, რის სიკეთესაც მალე იგრძნობენ საქართველოში.

**—კონკრეტულად როდის იქნება ეს „მალე?"**

—კონტრაქტით გათვალისწინებულია მომავალი წლის მარტი, მაგრამ როდესაც ვნახე, როგორი ტემპითა და ორგანიზებით მიმდინარეობს ინსტიტუტში საამისოდ საჭირო სამუშაოები, დავრწმუნდი, რომ აპარატი შესაძლოა უფრო ადრეც ამოქმედდეს.



**რომან შაქარიშვილი — სარაჯიშვილის სახელობის ნევროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი:**

სხივური თერაპიის ელემენტები აქამდეც არსებობდა საქართველოში, მაგრამ დროთა განმავლობაში თანდათან ჩამოვრჩით საერთაშორისო დონეს. დღევანდელი დღე არის საქართველოში სხივური თერაპიის ახალი მიმართულების დასაწყისი. უფრო მეტიც, ეს ფაქტობრივად მსოფლიო სამედიცინო ცივილიზაციის, ახალი სამედიცინო კულტურის შემოსვლაა ქართული მედიცინის პრაქტიკასა და კლინიკური გამოცდილების სივრცეში.

ბატონი ფრიდონის ხელმძღვანელობით ამ შესანიშნავი სამედიცინო დაწესებულებისთვის დამახასიათებელია სიახლეების, ახალი სამედიცინო ტექნოლოგიებისა და აპარატურის დანერგვისადმი გამუდმებული სწრაფვა. სწორედ აქ დამონტაჟებული მაღალი მგრძნობელობის სადიაგნოსტიკო აპარატურის გამოყენებით გაიზარდა საქართველოში ონკოდაავადებებით დასნებოვნებულ ადამიანთა რაოდენობა, რაც, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ამ ინსტიტუტის დიდ დამსახურებად მიმაჩნია. ცხადია, რომ გაიზარდა არა საკუთრივ დაავადებულთა რაოდენობა, არამედ ონკოლოგიური დაავადებების გამოვლენის და ადრეული დიაგნოსტიკის სიხშირე ზუსტი და თანამედროვე სადიაგნოსტიკო საშუალებების გამოყენების წყალობით. კიბო ხომ მართლაც დაავადებაა და არა განაჩენი. დროულად გამოვლენილი დაავადება და სწორი მკურნალობა კი სენის ძლევის კარგი გარანტიაა.

და სწორედ სწორი და ეფექტიანი მკურნალობის საუცხოო საშუალებაა სხივური ამაჩქარებელი, რომელიც მართვადი, წერტილოვანი დასხივებაა, რომლის მოქმედება, უკეთ რომ წარმოიდგინოთ, ერთ ცუდ მაგრამ ზუსტ ანალოგიას გამოვიყენებ. იგი წააგავს წერტილოვანი დაბომბვის მეთოდს, რომელიც ანადგურებს მხოლოდ რომელიმე შერჩეულ ობიექტს, მის გარემომცველ ინფრასტრუქტურას კი არც აზიანებს. „თრუბიმის" მეშვეობით გაიზრდება იმ ონკოავადმყოფების რაოდენობა, რომლებიც ამ დაავადებით არ დაიღუპებიან.



**რეზო გაგუა — სააქციო საზოგადოება „უნივერსალური სამედიცინო ცენტრის" (ყოფილი ონკოლოგიური ცენტრი) ხელმძღვანელი, პროფესორი:**

როგორც ონკოლოგი, მივესალმები ასეთი უახლესი ტიპის აპარატის შემოტანას საქართველოში, სადაც სიმსივნით დასნებოვნებულთა რაოდენობა, სამწუხაროდ, კი არ კლებულობს, არამედ მატულობს, ისევე, როგორც მთელს მსოფლიოში. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ანალოგიური ტიპის აპარატურა ჩვენთანაც დამონტაჟდეს.

ამ აპარატის მნიშვნელობას ისიც ზრდის, რომ სხივური თერაპია გამოიყენება არა მარტო მაშინ, როდესაც ქირურგიული მკურნალობა უშედეგოა, არამედ იგი ენიშნებათ იმ პაციენტებსაც, რომელთაც ოპერაცია გაკეთებული აქვთ, მაგრამ დაავადების რეციდივის გამო საჭირო ხდება დამატებითი ონკოლოგიური მეთოდის გამოყენება. ეს მეთოდი მხოლოდ უშუალოდ სიმსივნურ უჯრედებზე მოქმედებს, სხეულის დანარჩენ ნაწილებს კი არ აზიანებს.

მისი მეშვეობით საქართველოში სიცოცხლის ხანგრძლივობა დიდად გაიზრდება, საგრძნობლად შემცირდება საზღვარგარეთ სამკურნალოდ წამსვლელთა რაოდენობა და სახელმწიფოც მოიგებს.

ონკოლოგთა სახელით დიდ მადლობას მოვახსენებ „ვარიანს", ვულოცავ ინსტიტუტს და სრულიად საქართველოს.



**ლადო პაპავა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი:**

— სხვათა მსგავსად, მეც მიხარია დღევანდელი ფაქტი და მივიჩნევ, რომ ამ აპარატის შემოტანა კარგი საჩუქარია მთელი საქართველოსთვის. ჩემთვის ეს მოვლენა მით უფრო საგულისხმოა, რომ ბატონი ფრიდონი ჩვენი უნივერსიტეტის სრული პროფესორი და აკადემიური საბჭოს წევრია. მთლიანად ეს მისი დიდებული სამედიცინო დაწესებულება კი— რადილოგიის, ენდოსკოპიისა და ქირურგიის დარგში თსუ-ს სასწავლო საბაზო კლინიკაა. კიდევ ერთხელ ვულოცავ ამ ფაქტს ინსტიტუტსაც და მთელ საქართველოსაც.

* * *

**ბატონი ფრიდონ თოდუა აშკარად კმაყოფილი და გახარებულია. არც ცდილობს ამის დამალვას.**

— ყოველგვარი ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, — ამბობს იგი,— რომ ეს აპარატი მართლაც დიდი შენაძენია სრულიად საქართველოსთვის. როგორც ბატონმა ფრიც დერერმაც აღნიშნა, მისი მსგავსი არამცთუ მხოლოდ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში არსად დგას, არამედ დასავლეთ ევროპაშიც კი მარტო ავსტრიაშია.

არ შემიძლია მადლიერება არ გამოვთქვა „თიბისი" ბანკისა და მისი მესვეურების მიმართ, რომელთაც გაითვალისწინეს ამ ნაბიჯის მნიშვნელობა ქართული მედიცინისთვის, საზოგადოებისთვის და ფაქტობრივად მხარი დაუჭირეს საშვილიშვილო საქმეს. დაბალპროცენტიანი და გრძელვადიანი კრედიტის წყალობით შევიძინეთ „ვარიანის" წარმოების 2 აპარატი. ცხადია, რომ ყველა პროექტის განხორციელება ხარჯებთანაა დაკავშირებული. ყველაზე შეღავათიანი სესხიც გადასახდელია, მაგრამ საზოგადოებას ვპირდები, რომ ონკოლოგიურ პაციენტთა ესოდენ სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე დახმარება არ იქნება მოგებაზე ორიენტირებული. მჭიდრო ურთიერთობებს დავამყარებთ სადაზღვევო კომპანიებთან, ჯანდაცვის სამინისტროსთან პაციენტთათვის მომსახურების გაიოლებისათვის.

**— ბატონო, ფრიდონ, არის რაიმე დანადგარი თანამედროვე მედიცინაში, რაც არა გაქვთ ინსტიტუტში?**

— მედიცინა დღეს ისე სწრაფად ვითარდება, რომ თუ გინდა მოთხოვნათა სიმაღლეზე იყო, მუდმივად უნდა განაახლო არსენალი და მოამზადო სპეციალისტები. ასე რომ, მოდუნების და დასვენების დრო ნამდვილად არ არის...

დიდი სურვილი მაქვს, დავიწყოთ მუშაობა პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის შეძენაზე, მაგრამ საამისოდ კიდევ უფრო მასშტაბური სამუშაოები იქნება შესასრულებელი. მაგალითად, საჭირო იქნება იზოტოპების ქარხნის კვლავაღჭურვა თანამედროვე აპარატ-დანადგარებით და სხვა. პრინციპში ამასაც მოევლება თავის დროზე. აჩქარება არ ვარგა არც ერთ საქმეში. მოვლენებს ნუ გავუსწრებთ.

სხვა მხრივ, ყველა სამედიცინო აპარატი ჩვენს ინსტიტუტში ახალი თაობის საუკეთესო ინსტრუმენტებია სხივური თერაპიის დანადგარის — „თრუბიმის" ჩათვლით, რომელიც მალე ამოქმედდება.

**— ფრიც დერერმა გვითხრა, ეს თარიღი მომავალი წლის მარტს არ გადასცდებაო.**

— შეიძლება, უფრო ადრეც მოვახერხოთ მისი ამოქმედება. არ დაგიმალავთ, რომ ბავშვივით მიხარია.

**ღმერთმაც არ მოგაკლოთ სიხარული, ბატონო ფრიდონ, საქართველოს სასიკეთოდ!**

**რუსლან რუსია**

# საქართველოს არ სჭირდება რუსეთით დაშინება



**„საქართველოს რესპუბლიკის“** ა.წ. 12 სექტემბრის №174-ში გამოქვეყნებულმა ინტერვიუმ, სათაურით **„რუსეთი ივანიშვილისგან მეტისმეტს ითხოვს და პოლიტიკიდანაც სწორედ იმიტომაც მიდის, რომ მოსკოვის ზეწოლა თავიდან აიცილოს“** – მეტად დამაფიქრა და გადამაწყვეტინა ჩემი მოსაზრება გამომეხატა ინტერვიუს ზოგიერთ, თუ არა სრულ სულისკვეთებასთან დაკავშირებით.

დასაწყისიდანვე ბოდიშს მოვუხდი ჟურნალისტ **კობა ბენდელიანსა** და მის რესპონდენტს, რუსეთში მცხოვრებ პოლიტოლოგ **ავთანდილ წულაძეს,** საკუთარი, მათთვის მიუღებელი ჩემი პოზიციის დაფიქსირებისთვის, მაგრამ რა გაეწყობა, დემოკრატიამ მოიტანა ესოდენი თავისუფლება, რამაც ხელი მკრა კალმისკენ.

გარდა ამისა ბატონ კობასთან წარსულში, არაერთი ინტერვიუ გამოგვიქვეყნებია ზაზა ოქუაშვილისა და მისი მეუღლის მიერ დაარსებულ გაზეთში, რამაც ოდნავ გამათამამა კიდეც, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო, სხვა მოთხოვნებითა და ინტერესებით. დღეს, სხვა დროა, გაცილებით მძიმე და გაუსაძლისი, ვიდრე მაშინ.

მიუხედავად ჩემი მრავალწლიანი ურთიერთობისა ბეჭდურ და ელექტრონულ მედიასთან, თავს ჟურნალისტობით ვერ შევიქებ, თუმცა 1964 წლიდან მოყოლებული – დღემდე არაერთი სტატიის ავტორი, ვთვლი, რომ ჟურნალისტმა, რესპონდენტს თავს არ უნდა მოახვიოს მისთვის საწადელი კითხვა და ამით წინასწარ არ უნდა დამუხტოს ის სასურველი პასუხის მისაღებად.

კობას შეკითხვებში თავიდანვე ჩადებული იყო მთავარი „სიბრძნე“ – რესპონდენტის ვითომდა საქართველოს სასარგებლოდ ალაპარაკება. ბატონ კობას გულდასაწყვეტად ვიტყვი – არ გამოვიდა. არ გამოვიდა იმათში, ვინც მეტ-ნაკლებად ჩახედულია ქართულ პოლიტიკასა და საერთაშორისო ცხოვრებაში. არ გამოვიდა იმიტომ, რომ მსგავსი კითხვა-პასუხი თითქმის ათი წელიწადია გვესმის – უკმეხად, უსაფუძვლოდ, ნაცთა პროპაგანდის სადარად, მათი პოლიტიკისა და იდეოლოგიის გასაპიარებლად და ა.შ., იმ პოლიტიკისა და იდეოლოგიისა, რომლის ბინძური ჭაობიდან ქვეყანა კარგა ხანს ვერ ამოვა.

ახლა ჩამოვთვლი კობას კითხვების ნაწილს, რომელმაც ჩემი ყურადღება მიიპყრო: **„რას შეიძლება ნიშნავდეს, როგორც ბევრი აღნიშნავს, პეტერბურგის სამიტზე „პუტინის ხულიგნური ქცევა“, საერთაშორისო ურთიერთობებში რუსეთის ხისტი თამაში?“**

**„ხომ არ შეიძლება, საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის თავნებობა იმასაც დავუკავშიროთ, რომ, როცა 2008 წლის აგვისტოში, საქართველოს წინააღმდეგ ძალა გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების გარეშე გამოიყენა...?“**

**„...საქართველოსთვის მთავარია, ქვეყნის შიგნით არ აირიოს ვითარება, სტაბილური განვითარება შენარჩუნდეს და რუსეთს არ მიეცეს ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში ზედმეტად ხელის ფათურის შესაძლებლობა. მოსკოვიდან როგორ ჩანს, შეძლებს ქვეყანა წონასწორობის შენარჩუნებას და რუსეთის წნეხისგან თავის დაცვას?“**

**„მოახლოებულ არჩევნებზე მათი ფავორიტი რომელი კანდიდატია? და კიდევ მონაწილეობენ თუ არა ისინი რომელიმე მათგანის დაფინანსებაში, ოფიციალური მოსკოვის დავალებით (რუსეთში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენები იგულისხმება)?“**

**„...ანუ არ გამორიცხავთ, რომ რუსეთი, სირიის კონფლიქტის ფონზე, რაიმე მორიგ სისულელეს არ ჩაიდენს“?**

მოვაშოროთ შეკითხვებს კითხვის ნიშნები და მზად გვექნება ისეთივე ანტირუსული სტატია, რასაც არაერთხელ შევხვედრივართ ქართულ პრესაში. ბატონი კობა შემედავება - სხვისი სიტყვები მოვიშველიეო. კეთილი, მაგრამ, რატომ ესოდენ რეაქციული და არშემდგარი ქართულ-რუსული ურთიერთობების კიდევ უფრო დამძაბავი?!

ჟურნალისტის მსგავსი კითხვები აიძულებს რესპონდენტს, თუ მთლად არა, ნაწილობრივ მაინც, გაიზიაროს კითხვის დედაარსი, რასაც ადგილი აქვს პოლიტოლოგ წულაძის პასუხებში. რომ იტყვიან, ფერი-ფერს და მადლი ღმერთსო.

კითხვა-პასუხის იდენტურობის საკითხი, რომ ინტერვიუს გამოქვეყნებამდე იყო შეჯერებული, ეჭვი არ არის, მაგრამ ვის სჭირდება მსგავსი დადგმული სპექტაკლი? ინტერვიუ სწორედ მაშინ არის საინტერესო, როდესაც რესპონდენტი ჟურნალისტის კითხვას მოულოდნელ პასუხს აგებებს.

ამ ინტერვიუში მსგავს მოულოდნელობას სულაც არ აქვს ადგილი, გარდა ერთისა, სრულიად ამოვარდნილისა სინამდვილიდან. აი, ისიც: **„ივანიშვილი ცდილობს, თავიდან აიცილოს რუსეთის ზეწოლა. მოკლედ ჩემი აზრით, რუსეთი ივანიშვილისგან მეტისმეტად ბევრს ითხოვს და იგი პოლიტიკიდან სწორედ იმიტომაც მიდის, რომ მოსკოვის ზეწოლა აიცილოს თავიდან. მოსკოვი ივანიშვილს იმაზე მეტს სთხოვს, ვიდრე მას გაკეთება შეუძლია“.**

ბატონი ავთანდილის მოსაზრება მხოლოდ მაშინ იქნებოდა არსებულ ვითარებასთან შესაფერისი, რუსეთის ნაცვლად, ამერიკა რომ დასახელებულიყო. მაგრამ არა. პოლიტოლოგი, ქართველი ჟურნალისტისა და მკითხველის სასიამოვნოდ რუსეთს ასახელებს, ქვეყანას, რომელსაც 2008 წლიდან მოყოლებული არც დიპლომატიური და არც სხვა რამე კავშირი აქვს საქართველოსთან, თუ არ ჩავთვლით ეპიზოდურ, უსაგნო შეხვედრებს ჟენევაში და აბაშიძე-კარასინის შეხვედრას-შეხვედრისთვის, ხან სად და ხან სად.

რესპონდენტის ინფორმაციისთვის – **ივანიშვილმა პოლიტიკიდან წასვლა, თანაც ორი წლის შემდეგ, პოლიტიკაში შემოსვლისთანავე განაცხადა.**

რესპონდენტის პასუხი ნათლად მეტყველებს, რომ საქართველო და მისი პრობლემები, განსაკუთრებით კი შიდაცხოვრება ისეთივე შორეულია მისთვის, როგორც ზიმბაბვეს ან ნებისმიერი აფრიკული სახელმწიფოსი. საქმეში ოდნავ ჩახედული ადამიანი თავს უფლებას არ მისცემდა მსგავსი აბსურდი გაეჟღერებინა.

საქართველო რახანია, განსაკუთრებით ნაცთა ზეობის პერიოდში, აშშ-საა ჩაბარებული, და თუ ვინმეს დიქტატზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, მხოლოდ ამერიკულზე. პრეზიდენტ სააკაშვილის ერთპიროვნული, ვოლუნტარისტული ბატონობის დროს საქართველოს ყველა სამინისტროს, სახელმწიფო აპარატებს ზედამხედველობას უწევდა ე.წ. ამერიკელი „სპეციალისტები“.

ამერიკულ ექსპანსიას პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე დიდი საელჩო ედგა სათავეში, რომელთა ხელმძღვანელები, ელჩის რანგში, ყოველგვარი მორიდების გარეშე, აფათურებდნენ ხელს შიდაქართულ ცხოვრებაში. საელჩოს გვერდში ედგნენ ამერიკული ინსტიტუტები ანუ რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების თბილისის ფილიალები, აუარება არასამთავრობო ორგანიზაციები – აშშ-ის მიერ დაფინანსებული, გამოტრენინგებული და ა.შ.

აშშ-ის ადმინისტრაციის ძალისხმევის შედეგად 2008 წლის საპრეზიდენტო ვადამდელ არჩევნებში „გაიმარჯვა“ ამერიკელთა ჯილამ - სააკაშვილმა, ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ. ვაშინგტონმა გაამარჯვებინა სააკაშვილს, ცხადია ფალსიფიკაციით, რითაც სულში ჩააფურთხა ქართველ ხალხს.

სააკაშვილის უდიდესი მხარდაჭერის გამო მოხდა 2008 წლის თბილისური აგრესია მძინარე ცხინვალზე. რომ არა ეს, საქართველოს ხელისუფალი, თუნდაც ავანტიურისტი და ჭკუამჩატე არ გაბედავდა ამას, რითაც გადაარჩენდა ქვეყნის მთლიანობას. აშშ-ის მიერ ნაბოძები მილიარდნახევარი დოლარი და მისი დაძალებით ევროკავშირის მიერ გამოყოფილი სამი მილიარდი, ვერაფრით აანაზღაურებს ხანმოკლე ომში დაღუპულთა სიცოცხლეს და დაკარგული ტერიტორიების 20%-ს.

ამერიკელთა დიქტატით თბილისში აშენდა ბიოლოგიური ლაბორატორია, რომელიც 300 მილიონი დოლარი დაჯდა და პენტაგონის პირდაპირ დაქვემდებარებაშია. პატარა ქვეყნისთვის მსგავსი ლაბორატორია მიუღებელია, ისევე, როგორც დიდისთვის. აი რას წერს თავის ინტერვიუში **(„საქართველო და მსოფლიო“, 4-10 სექტემბერი, 2013წ.)** ამერიკელი მკვლევარი და ჟურნალისტი **ჯეფრი სილვერმანი: „საქართველოში არსებული ლაბორატორიების ქსელს, ფაქტობრივად აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტი მართავს და მას შეტევითი პოტენციალი აქვს... თავის დროზე აშშ საკუთარ მოქალაქეებზე ატარებდა ექსპერიმენტებს და ამიტომ მას შეუძლია საქართველოს მოსახლეობაც გამოიყენოს, ვაქცინების საველე კვლევის ნაწილად მისი თანხმობის გარეშე.“**

ლაბორატორიის არსებობა არა მარტო საქართველოსთვის არის სახიფათო, როგორც ამას უცხოელი სპეციალისტები ამტკიცებენ, არამედ მეზობელი ქვეყნებისთვისაც. და თუ საქართველო რაიმე დიქტატს განიცდის რუსეთის მხრიდან, რატომ არ ხდება ჯეროვანი რეაგირება? ონიშჩენკოს მოკლე განცხადება, თანაც მხოლოდ ერთი, ნამდვილად არ ჩაითვლება დიქტატის მცდელობად.

ან რა რუსულ დიქტატზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ერთ დროს სააკაშვილის განკარგულებით, რესტორნებში რუსული სიმღერებიც აიკრძალა, ხოლო ქართულ სკოლებში ინგლისური ენის სწავლება პირველი კლასიდანვე იქნა შემოღებული. თბილისისა და სხვა ქალაქების ქუჩებში რუსული ენა ისეა ამოძირკვეული, რომ უკეთესს ვერ ინატრებდა მაკკეინის მსგავსი ამერიკელი სენატორი. რუსულის ჭაჭანება არ არის არსად. აი, რაც შეეხება თურქულს, არაბულს, ინგლისურს, სპარსულს და ა.შ. უხვადაა.

თბილისი დაემსგავსა მე-20 საუკუნის დასაწყისის ქალაქს – ერთმანეთში არეული ახლო აღმოსავლური და ევროპული ენებით, წეს-ჩვეულებებით, რელიგიური აღმსარებლობის მოზაიკით, ათასი ჯურისა და მისწრაფების „დომხალით“, გაუგებრობით და რაც მთავარია არაქართული სულისკვეთებით. იქნებ სწორედ ამით არის გამოწვეული რუსეთის ნოსტალგია, იმჟამინდელი წესი და რიდი, თქვენ რომ დიქტატად მიიჩნევთ?

და კიდევ – კობას კითხვის – **„სირიის ფონზე, რუსეთის მხრიდან მორიგი სისულელის ჩადენის“ თაობაზე – რესპონდენტის პასუხთან – „სისულელეები“ რუსეთში ყოველდღე ისედაც ხდება, მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ ახლა ძალიან სახიფათო პერიოდია, როგორც თავად რუსეთისთვის, ისე მისი მეზობლებისთვის“ – დაკავშირებით შეგახსენებთ ერთ მარტივ ჭეშმარიტებას – ავი ძაღლის გაღიზიანება, კბენით თავდება.**

თუმცა მთლად ავიც არ ითქმის რუსეთის მისამართით. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რას მოიმოქმედებდა აშშ, მექსიკას რომ მისი მშვიდობისმყოფელები დაეხოცა და საერთაშორისო დაკვირვებისა და კონტროლის ქვეშ მყოფი, თუნდაც მექსიკის ტერიტორიას, ღამით, რაკეტებითა და ტანკებით დაცხრომოდა თავს? მექსიკის ხელისუფლებას ელექტრონული სკამი არ ასცდებოდა ან სამარადისო პატიმრობა, ისე როგორც პანამის პრეზიდენტ ნორიეგას.

თუ მაშინ დასავლეთს, რუსეთისთვის „საკადრისი პასუხი“ არ გაუცია, როგორც თქვენ ეკითხებით რესპონდენტს, ახლა ხომ არ იმკის მაშინდელ უხერხულობასო? - კითხვას სირიასთან დაკავშირებით სვამთ. რატომღაც ამ კითხვას თქვენი რესპონდენტი გვერდს უვლის და სხვაგვარად პასუხობს – **„რა თქმა უნდა, გარკვეულწილად ასეა, მაგრამ ეს არ არის მთავარი, ვინაიდან პოსტსაბჭოთა სივრცე რუსეთის გავლენიდან გადის. . .“**

ორივეს გასაგებად ვიტყვი იმას, რასაც მეც და სხვებიც დიდი ხანია ვამბობთ და რაც იგივე დასავლეთის მიერ შექმნილმა სპეცკომისიამ დაადასტურა – აგრესია ქართულმა მხარემ განახორციელა! კომისიამ, ქალბატონ ტალიავინის ხელმძღვანელობით, დაადგინა ის, რაც ყველამ კარგად იცოდა, მაგრამ – მისდა საწინააღმდეგოდ დღემდე დუჟმორეული გაჰკივიან ნაციონალები.

ის, რომ სწორედ სააკაშვილმა დაიწყო ომი და არა მედვედევმა, მრავალჯერ დაიწერა თქვენს ნაქებ დემოკრატიულ დასავლეთში. ამიტომაც ხომ არ ერიდება დასავლეთის ლიდერებს პუტინთან შეხვედრების დროს შეახსენონ 2008 წლის „აგრესია“? რახანია საქართველოს მიმართ განხორციელებული „აგრესია“ აღარ არის არც ერთი საერთაშორისო შეკრების თემა. არ არის, არა იმიტომ, რომ მთელს მსოფლიოში რუსული დიქტატი მეფობს, არამედ უკბილო გამოდგა დაბრალება.

ჩვენ, ჩვენი უთავობით დავკარგეთ ყოფილი ავტონომიები – ზოგი თოფით, ზოგიც ჭინჭებზე გაცვლით. ეს ტენდეცია სამწუხაროდ დღესაც გრძელდება. აჭარაში, თურქული მოზღვავების შემხედვარეს ნაკლებად გაუჩნდება სურვილი ამტკიცოს, რომ აჭარა ისეთია, როგორიც წინათ, რომ რუსეთის იმპერიის ომით და სისხლით შემობრუნებული, უთოფოდ დაბრუნებული არ არის.

რაღა აჭარა, თბილისი ავიღოთ, მისი ძირძველი „პლეხანოვით“, რომელზეც მოსწრებულად წერს ჟურნალისტი თამუნა კეშელავა **„საერთო გაზეთში“: „თურქებმა ვარდების ბაღის მოპირდაპირე მხარეს ქართული ბორდელი გახსნეს, ქართველი ჯიშიანი გოგოებით, რომლებიც მერე თქვენს საჯიშე ბიჭებთან უჯიშო შვილებს გააჩენენ. თავი შეგვიძლია იმით დავიმშვიდოთ, რომ, სამაგიეროდ, ქართველ გოგონებს ამ უძველესი პროფესიის ნიუანსების დასახვეწად თურქეთში გადასვლა არ სჭირდებათ, აქვე „პლეხანოვზე“ მამების, ძმების და ქმრების თვალწინ ერთობიან და ამ გართობაში აღებული ფულით ქმრებისთვის სიგარეტი და ოჯახისთვის საკვები მიაქვთ“.**

ამის შემხედვარე რუსული კი არა საბჭოური „დიქტატიც“ სანატრებელი გახდება. და რა რუსულ „დიქტატზეა“ საუბარი, პატივცემული ავთანდილი არაორაზროვნად პასუხობს – თითქმის ყველა დსთ-ს წევრი ქვეყანა, განსაკუთრებით უკრაინა, რუსეთის ორბიტიდან გასვლას და დასავლეთთან შეერთებას ლამობსო. დიქტატისა და მკაცრი ხელის შემთხვევაში, მსგავსი რამ არ ხდება ან თუ ხდება სისხლის მდინარეებს იწვევს.

პატივცემული ავთანდილ წულაძის პოლიტიკური მენტალიტეტი რუსეთში მოქმედი ტელეკომპანია RTVI-ა და რადიო „ЭХО МОСКВЫ“-ს ისეთი რესპონდენტების მენტალიტეტის სადარია, როგორებიცაა ნოვოდვორსკაია, ალბაცი, ნემცოვი, ფელგენგაუერი, კასპაროვი, კასიანოვი, სხვები და სხვები, დაუძინებელი მტრები რუსეთის და მისი ხელისუფლებისა, იმ ხალხისა, ვინც შესანიშნავად გრძნობს თავს რუსეთში, ფუფუნებას არ იკლებს და დასავლეთის დავალებით დღენიადაგ თხრის მას.

თხარეთ სადამდეც არ დაიღლებით, მაგრამ ჩვენ შეგვეშვით. ნუ გვჩხირავთ იმ საქმეში, რამაც ცუდი შედეგი იცის.

ჭინჭყლობას, ჭირვეულობას, ავანტიურიზმს და დასავლეთთან ჩახუტებას მოჰყვა ის უბედურება, რაც ჩვენ გვჭირს და რის შესახებაც წერს პროფესორი **ანზორ თოთაძე** თავის წერილში **„ვინ ვართ ჩვენ და რას ნიშნავს ქართველობა“ (გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, 11-17 სექტემბერი).**

საქართველოს არ სჭირდება რუსეთით დაშინება. საქართველოს სჭირდება საღი და რაც მთავარია, ობიექტური აზრი, როგორც რუსეთის, ისე ნებისმიერი ჩვენი მეზობლის, შორს თუ ახლოს მყოფი სახელმწიფოს მიმართ – საკუთარის შესამუშავებლად, და ისეთი ნაბიჯების გადასადგმელად, ქვეყანას რომ მრავალი ათეული წლის განმავლობაში გამოადგება.



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**



# რაღაა იგი სინათლე...

**ჯოჯოხეთიდან ამოსულები ჯეროვნად ვერ ვაცნობიერებთ, რას გადაგვარჩინა მამაზეციერმა! მისმა თანაშემწემ — დედაეკლესიის მესაჭემ! და მისმა თანამეინახემ ერში! გადავრჩით — დიდება უფალს! და შევთხოვოთ პატიება უმადურობასავით გაჟღერებულ პირადულზე დაჩივლებისათვის. ვინაიდან სინათლეზე დაბრუნებულნი უფრო მძაფრად აღვიქვამთ „მემკვიდრეობად რგებულ" ჩამუქებულ სიმახინჯეებს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც შენს მამულში საკუთარი სახლის ზღურბლზე წამოგიჭიმავენ ურჩხულს სინათლის დასაბნელებლად. მავანმა ყალბ პათეტიკად რომ არ ჩაგვითვალოს, მიყვეთ კონკრეტულ ფაქტობრივ მონაცემებს.**

მიმდინარე წლის აპრილში ქ. თბილისის ტ. ტაბიძის ქ. №124-ში, რომელიც განეკუთვნება დაბალი ინტენსივობის განაშენიანების ზონას, დაიწყეს ამ ზონისთვის სრულიად შეუთავსებელი და კანონით მიუღებელი მრავალფუნქციური, მრავალბინიანი 7-სართულიანი კორპუსის მშენებლობა.

მოკვლევებით დასტურდება, რომ აღნიშნულ მისამართზე ქ. თბილისის მერიის დაინტერესებულ ჩინოსანთა მიერ ჯერ კიდევ 2009 წლიდან მზადდებოდა დიდი სახლის ასაშენებელი პლაცდარმი. პირდაპირი ჩარევებით მათ თანდათანობით გაზარდეს მესაკუთრეზე ადრე გამოყოფილი 600 კვ.მ მიწის ნაკვეთი 1026 კვ. მეტრამდე. ეს ზრდა მოხდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლ ვაკის პარკიდან 426 კვ.მ. ნაკვეთის მიტაცებით და, ვინაიდან ამ ნაკვეთის გასხვისება კანონით აკრძალულია, სხვადასხვა მაქინაციებით მოახერხეს მისი სტატუსის შეცვლა და შემდეგ ეს დააკანონეს.

ჩინოსანთა მომდევნო მანევრი განაშენიანების კოეფიციენტის უსაშველოდ გაზრდა გახლდათ და ქალაქის მერიის ყოვლისშემძლე ჩინოვნიკებმა ესეც მოახერხეს. მათ ხელთ იგდეს სასურველი ნებართვა და სასწრაფოდ შეუდგნენ დედაქალაქის იერსახის დამახინჯებას — კიდევ ერთი ურჩხული კორპუსის მშენებლობას ტ. ტაბიძის ქ. №124-ში. თბილისის ამ ერთ-ერთ ულამაზეს უბანში ასეთი მახინჯი „ანკლავის" შექმნის პროცესმა ლოგიკურად გამოიწვია ქალაქელთა გულისწყრომა (ამას თვით მერიის თანამშრომლებიც გამოხატავენ).



გაცილებით ძლიერ დაზარალებულმა, მშენებლობის მიმდებარედ ტ. ტაბიძის ქ. №122 სახლის მცხოვრებლებმა (მესაკუთრე მაგული ხუნწელია) ამ მშენებლობის კანონთან ურთიერთობის დასაზუსტებლად საჩივრით მიმართეს შესაბამის სამსახურებს.

1. საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნამ, რომელიც შესრულებულია მაღალპროფესიულად, არსებულ ყველა საკანონმდებლო ნორმატიულ აქტთან შეჯერებით დადასტურდა, რომ ზემოაღნიშნული მშენებლობის რეკომენდაცია-ნებართვები მოკლებულია ყოველგვარ საფუძვლებს, ფიქტიურია და ექვემდებარება გაუქმებას.

როგორც ირკვევა, დაინტერესებულ ჩინოსანთა მიერ კოეფიციენტისა და მშენებლობის გაბარიტების გაზრდისთვის „ჩალიჩის" საწყის ეტაპზე, თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის წევრებმა, სწორი პოზიცია დაიკავეს და მრავალგზის (დაფიქსირებულია) კატეგორიული უარი განაცხადეს ტ. ტაბიძის ქუჩის მოცემულ ზონაში კოეფიციენტის მომატებაზე. ამავდროულად კომისია პრინციპულად უთითებდა დამკვეთს, რომ ამ ზონაში სამ სართულზე მაღალი სახლის მშენებლობა არ შეიძლებოდა. „...ფული ჯოჯოხეთსაც ანათებსო" (შესაძლოა ზემდგომთა ზეგავლენაც) და ერთ ცუდ დღეს იგივე კომისიის ექვსი წევრი იძლევა დიამეტრიულად საწინააღმდეგო რეკომენდაციას, უფრო მეტიც — იძლევა კოეფიციენტის გაცილებით მეტად გაზრდის რეკომენდაციას ვიდრე ამას დამკვეთები თხოულობდნენ(???). ყოველივე აქედან გამომდინარე, ცხადია, დღის წესრიგში დადგა ხსენებული ექვს პირისი და მათ დამფუძნებელ გიგი უგულავას (ხსენებული კომისია ამ უკანასკნელის მიერ ხელოვნურადაა შექმნილი მისთვის სასურველი რეკომენდაციების მისაწოდებლად და შემდგომში დანაშაულის გამჟღავნებისას — პასუხისმგებლობის კომისიის წევრებზე გადასატანად) მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების საკითხი.

2. ტ. ტაბიძის ქ. №124-ში მშენებარე 27 მეტრის სიმაღლის კორპუსის ზედ თავზე გადადის ქალაქის კუს ტბასთან დამაკავშირებელი საბაგირო გზა და, ცხადია, ეს შესაბამისად აისახებოდა გასაყიდი ბინების ფასზე, რაც მერიის თადარიგიანმა ჩინოსნებმა ადრევე გაითვალისწინეს და ყოველგვარი საბაბის გარეშე (ამას ადასტურებენ როგორც უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები, ასევე ამ ობიექტთან დაკავშირებული ყველა პირი) ფუნქციონირება შეუჩერეს თბილისელთათვის ესოდენ სასურველ ტბასთან დამაკავშირებელ საბაგირო გზას.

3. ხსენებული მშენებლობა მიმდინარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ვაკის პარკის საზღვარზე, სარეკრეციო ზონის არეალში და, რომ არაფერი ვთქვათ ვაკის პარკიდანვე მიტაცებულ 426 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, მაინც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს პარლამენტის 17.07.98 დადგენილებასთან — „საქართველოს დასახლებულ პუნქტებში გამწვანების ზონების, პარკების, ბაღებისა და სკვერების დაცვის შესახებ", სადაც 1-2-პუნქტებში პირდაპირაა მითითებული „დაუყოვნებლივ შეწყდეს ყოველგვარი მშენებლობა და ლანდშაფტის იერსახის შეცვლა საქართველოს კულტურის ძეგლთა კატეგორიის პარკებსა და მიმდებარე ტერიტორიაზე".

4. აღნიშნული მშენებლობა განსაკუთრებით მკვეთრ წინააღმდეგობაშია ქ. თბილისის განვითარების გენერალურ გეგმასთან.

**კოჰაბიტაციით გათავხედებულ მერიაში მოკალათებულ ჩინოსანთა კორუფციული ვნებანი და არშემდგარი სასამართლო რეფორმა.**

5. ასევე წინააღმდეგობაშია: თვით ქალაქის მერის გ. უგულავას №10 15.01.2009 ბრძანებასთან: „საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ".

6. წინააღმდეგობაშია თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის №10.10.62923.06.96 დადგენილებასთან „გამწვანებული ტერიტორიების შემცირების თავიდან აცილების შესახებ".

7. საქართველოს საინჟინრო აკადემიის დასკვნით — „მიმდინარე მშენებლობის წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო კომუნიკაციების მოწყობა შეუძლებელია ვაკის პარკზე ტრასირების გარეშე" — მაშასადამე, კვლავ უნდა გაიჩეხოს და გადაითხაროს ვაკის პარკის მწვანე ზოლი.

8. ტ. ტაბიძის ქუჩა და განსაკუთრებით №124-ში მშენებარე კორპუსის მისადგომები იმდენად გადატვირთულია, რომ ავტომანქანით გადაადგილება ახლაც უჭირთ და წარმოიდგინეთ, 30 ახალი ოჯახის დამატებით რა მოხდება.

9. რაც შეეხება ამ უკანონო მშენებლობით დაზარალებულ უშუალო მეზობლების უფლებების დარღვევას, დავიწყოთ იმით, რომ მაგული ხუნწელიას კუთვნილ შესანიშნავ ეზო-სახლს ზედ საზღვარის ღობეზე უშენებენ 27 მეტრის სიმაღლის კორპუსს. ალბათ ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რაოდენ დამთრგუნველია შენს მშვენიერ ეზოზე წამომჯდარი 27-მეტრიანი ყრუ კედელი, რომელიც სხვა უამრავ სიავესთან ერთად მთლიანად გიკეტავს შემომავალი ჰაერის ნაკადს, გიბნელებს ეზოს, სახლს, რასაც ბუნებრივად მოყვება ბაღ-ვენახისა და მთელ მწვანე ზოლის გახმობა-გაჩანაგება...

10. „მწვანეთა საზოგადოების" ფუნდამენტური კვლევებიდან ირკვევა, რომ კოჯორ-წყნეთიდან ვაკის პარკში შემომავალი ჰაერის ნაკადი ტ. ტაბიძის ქუჩის გავლით ვრცელდება ვერის, გმირთა მოედნისა და მთაწმინდის მიმართულებებით. მშენებარე კორპუსით კი იხერგება ტ. ტაბიძის ქუჩა და მისი გაბარიტებიდან გამომდინარე მთლიანად გადაიკეტება ჰაერის ნაკადის მოძრაობა ქალაქის მიმართულებით.

11. ბოლო ათწლეულის მანძილზე უსამართლობათა მხილველს არ მეგონა თუ დღეს მოსამართლის ტენდენციურობა გამაკვირვებდა, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, და დღევანდელი სასამართლო სისტემის სამარცხვინოდ, ეს მოახერხა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ მირანდა ერემაძემ, რომლის მიერ 19.08.2013 ერთპიროვნულად განხილული მაგული ხუნწელიას შუამდგომლობაზე მიღებული დადგენილება არაპროფესიონალიზმისა და საქმის განხილვისადმი ტენდენციური დამოკიდებულების თვალნათლივი ნიმუშია: მაგული ხუნწელიას საფუძვლიან და არგუმენტირებულ სარჩელს — ტ. ტაბიძის ქ. №124-ში უკანონო მშენებლობის შეჩერების თაობაზე მოსამართლე მ. ერემაძემ უპასუხა აბსურდული განჩინებით: **„...შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს მშენებლობის დამკვეთს"(??!)**

გაოცებას იწვევს მოსამართლე მ. ერემაძის გულმოწყალება მშენებლობის დამკვეთის მიმართ, რომელმაც ნორმების ფარგლებში სამსართულიანი სახლი რომ ააშენოს, მისი რეალიზაციით საკმაოდ სოლიდური ფულადი მოგება დარჩება, მაგრამ არა იმდენი, რამდენიც 7-სართულიანის გაყიდვისას და ძალზე საინტერესოა, თუ რატომაა მოსამართლე მ. ერემაძე დაინტერესებული დამკვეთ-რეალიზატორის მაინცდამაინც დიდი ფულადი მოგებით და ისიც უამრავი ადამიანის უფლების შელახვის, კანონისა და თბილისის იერსახის დამახინჯების საფასურად?

ასევე, ადამიანის უფლებისა და საერთოდ მართლმსაჯულების აბუჩად აგდებაა მოსამართლე მ. ერემაძის მიერ შუამდგომლობის უარსაყოფად მოხმობილი მეორე (ბოლო) კონტრ-არგუმენტი. — **„მ. ხუნწელიას შუამდგომლობა არ შეიცავს მითითებებს ფაქტობრივ გარემოებებზე"**(??!)

ჩვენს წერილში ზემოთ მოყვანილი ყველა ფაქტობრივი გარემოება სრულადაა ასახული ხსენებულ შუამდგომლობაში და ისმის კითხვა: მოსამართლემ ან არ წაიკითხა ეს, ან შაბლონური პასუხები აქვს დაშტამპული წინა ხელისუფლების სასამართლოსადმი დამოკიდებულების შესაბამისი, ანდა შინაურმა მტრებმა დაუმალეს შუამდგომლობის ეს ნაწილი.

სავსებით ლოგიკურია, რომ მოსამართლის ასეთ უსამართლობას ადეკვატური პასუხი უნდა მოყოლოდა და მ. ხუნწელიამ საჩივრით მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. გთავაზობთ ამონარიდს საჩივრიდან:

**„...კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევის და მოქალაქეთა უფლებების აშკარა უგულვებელყოფის, ასევე სამსახურებრივი მოვალეობისადმი ზერელე, დილეტანტური დამოკიდებულებით მართლმსაჯულების აბუჩად აგდებისათვის — მოსამართლე მირანდა ერემაძის მიმართ აღიძრას დისციპლინარული დევნა".**

ცხადია, სასამართლო რეფორმა ჯერჯერობით ვერ შედგა. მაგრამ გვაქვს უსაზღვრო მოლოდინი უზენაესის ზეიმისა და იმისიც, რომ ყველა ამ ძალზე საჭირბოროტო კითხვას ადეკვატური პასუხი გაეცემა, მით უმეტეს ჩვენი რესპონდენტი მაგული ხუნწელია მის ახლობელ გულშემატკივართა არმიასთან ერთად შემართულია ბოლომდე ბრძოლისათვის (პროცესების ხელოვნურად გაჭიანურების — ესეც არის — შემთხვევაში დემონტაჟისთვისაც კი), რათა პრეცედენტი შეიქმნას და ლაგამი ამოედოს კორუმპირებულ ჩინოსანთა ზღვარგადასულ თავხედობას ჩვენს დედაქალაქში.

**ოთარ ტურაბელიძე**

**P. S ბრძოლის შემდგომ პერიპეტიებზე ვიმსჯელებთ მოვლენების განვითარების შესაბამისად.**

**ო. ტ.**

### ვინ — ვის?



# დაგვიანებული „შურისძიება“

**„ივანიშვილი პოლიტიკიდან მიდის იმიტომ, რომ ყოფილ ხელისუფლებას პასუხი აგებინოს“,** — ასეთ აზრს ხშირად მოისმენთ ქართულ საზოგადოებაში. არგუმენტებიც საკმაოდ საინტერესოა — პრემიერი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გვერდზე გადგება, რათა ერთი წლის დაგვიანებით მაინც დაპირებული სამართლიანობის აღდგენის პროცესი დაიწყოს.

პოლიტიკური ექსპერტი **სოსო ცისკარიშვილი** არ გამორიცხავს, რომ, თუ ასე მოხდება, დასავლეთი ივანიშვილს ველარ უსაყვედურებს, რადგან ის თანამდებობაზე აღარ იქნება; პასუხისმგებლობას კი ახალი პრეზიდენტი და ახალი პრემიერი აიღებენ. ამდენად, შესაძლოა, სამართლიანობის აღდგენის კუთხით „ქართული ოცნება“ უფრო თავისუფალი იყოს მოქმედებებში და წარსულს ჩაბარდეს ის დრო, როცა ბიძინა ივანიშვილმა, პრემიერის რანგში, უამრავი დაუმსახურებელი საყვედური მოისმინა ქვეყნის შიგნიდან თუ გარედან, რაც ცხოვრებაში არ მოუსმენია.

ამ ვერსიის თანახმად, სრულიად შესაძლებელია, ყოფილი თანამდებობის პირთა პასუხისგებაში მიცემის ხანა დაიწყოს. სხვათა შორის, სწორედ ამან შეაშფოთა სააკაშვილი, როცა საკუთარ დაჭერასა და ზებრასთან ანალოგიაზე ალაპარაკდა მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა კიდევ ერთხელ უკვე მკაფიოდ განმარტა, რომ პოლიტიკაში ყოფნა მისთვის დისკომფორტია.

სულ ახლახანს, ესტონეთში ყოფნისას, ბიძინა ივანიშვილმა ისევ გაიმეორა — **„მე აღარ ვაპირებ პოლიტიკაში მოსვლას“**. როგორც ირკვევა, პრემიერ-მინისტრი პოლიტიკიდან საპრეზიდენტო არჩევნებიდან რამდენიმე კვირაში წავა, რადგან პოლიტიკაში საკუთარი როლი უკვე შეასრულა.

**„მე მოვახერხე და „ნაციონალური მოძრაობა“ პოლიტიკიდან გავისტუმრე. ჩემი მისია შევასრულე... ახლა უკვე მეც მივდივარ პოლიტიკიდან... ჩემი როლი პოლიტიკაში უკვე შევასრულე. მე შევებრძოლე არსებულ ხელისუფლებას, რომელიც არ იყო დემოკრატიული, მოვახერხე ცვლილებები. ვფიქრობ, ჩემი ახალი როლი უფრო საინტერესო იქნება. მე აღარ ვაპირებ პოლიტიკაში შემოსვლას საერთოდ“,** — აღნიშნა ივანიშვილმა.

ამასთან, საქართველოს პრემიერმა მიხეილ სააკაშვილთან წლების წინათ არსებული კარგი ურთიერთობის შესახებაც ისაუბრა და განმარტა, რომ ეს მაშინ იყო, ვიდრე ის „პოზიტიურ პრეზიდენტად“ ითვლებოდა. იმ დროს ბიძინა ივანიშვილი სააკაშვილს ძალიან ბევრ რჩევას აძლევდა, ეხმარებოდა კიდეც, თუმცა მათი ურთიერთობები მას შემდეგ გაფუჭდა, რაც სააკაშვილმა გააფუჭა ურთიერთობა დემოკრატიასთან. რაც შეეხება სააკაშვილსა და მის მომავალს, ბიძინა ივანიშვილის აზრით, ეს უშუალოდ პრეზიდენტზეა დამოკიდებული და, ასევე, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განვითარდება პროცესები.

ჩვენ დავინტერესდით, რამდენად რეალურია ვერსია იმის შესახებ, რომ ბიძინა ივანიშვილი მიდის იმიტომ, რომ ყოფილ ხელისუფლებას პასუხი აგებინოს?! თუ ეს სამართლიანობის აღდგენის მომლოდინე ჩვენი საზოგადოების ერთგვარი ნუგეშისცემაა?!

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ლევან ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან ნამდვილად არ მიდის იმიტომ, რომ ვინმეზე შური იძიოს. უფრო მეტიც, პოლიტიკოსის აზრით, საქართველოს სიტუაციაში შურისძიებისთვის ბევრად კარგი პოზიცია იქნებოდა პრემიერ-მინისტრის პოსტი, ვიდრე არასამთავრობო ან ბიზნესსექტორში ყოფნა.

თუმცა, ბიძინა ივანიშვილის მიერ ბოლო დროს გაკეთებული განცხადებები ლევან ბერძენიშვილს შურისმაძიებლურად არ მიაჩნია, რადგან ივანიშვილი ბუნებით არ არის ასეთი ადამიანი.

**„ესტონეთში მან მკაფიოდ თქვა, რომ მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკიდან გასტუმრების ამოცანა შეასრულა, დატოვა კარგი გუნდი და ამის მეტი პოლიტიკაში არაფერი სურს. ეს მე არ მიკვირს. მე ის მიკვირს, ჩვენ რომ ვართ ამდენ ხანს პოლიტიკაში და კიდევ ცოცხლები ვართ დარჩენილნი, თორემ ბიძინა ივანიშვილს სულ სხვა ცხოვრება გაუვლია და სულ სხვა შესაძლებლობები აქვს. მისთვის პოლიტიკა არ იყო ქვეყანაში დამკვიდრების საშუალება, არამედ პოლიტიკა იყო აუცილებლობა, რომ სააკაშვილი მშვიდობიანად გაესტუმრებინა. ამიტომ მან ჩათვალა, რომ შეასრულა თავისი ფუნქცია და, გარკვეული გაგებით, ამისთვის მადლობის მეტი რა გვეთქმის?! უნდა ვუთხრათ მადლობა და გავუშვათ“,** — აღნიშნა ლევან ბერძენიშვილმა For.ge-სთან საუბრისას.

ამასთან, როგორც ლიტერატურის სპეციალისტმა, გაიხსენა, რომ ჩვენი ძირითადი ძეგლები, — „ილიადა“, ევრიპიდეს შემოქმედება, შექსპირის „ჰამლეტი“ და სხვა, გვასწავლიან, რომ შურისძიებას აზრი არ აქვს და შურისძიება არ შეიძლება იყოს პოლიტიკის ნაწილი. უფრო მეტიც, ლევან ბერძენიშვილის აზრით, პოლიტიკის ნაწილი უნდა იყოს სამართლიანობა, რაც შურისძიებისგან სრულიად განსხვავდება. ამიტომ, როგორც წესი, შურისძიებით ის ადამიანია დაკავებული, ვისაც სამართლიანობაზე წარმოდგენა არ აქვს.

ამასთან, პოლიტიკოსი აცხადებს, რომ საქართველოში სამართლიანობის სისტემა უნდა დამკვიდრდეს, რომლის დაბრუნებაც შეუძლებელია, რადგან ეს სისტემა არც არასდროს გვქონია. ბიძინა ივანიშვილმა კი ამ ბრძოლაში თავისი ნაბიჯი გადადგა, ვინაიდან მიხეილ სააკაშვილს მის გარეშე, ვერავითარ შემთხვევაში, ვერ მოვიშორებდით. იგი ახლაც ჩვენი უფროსი იქნებოდა და 20 წლის შემდეგაც. ფაქტობრივად, ის იქნებოდა მიხეილ ნაზარბაევი.

**„მე არ ველოდი ბიძინა ივანიშვილისგან რაიმე სხვას, გარდა იმისა, რასაც დაგვპირდა და 100%-ით შეასრულა. იგი ყოველთვის ერიდებოდა ყალბ დაპირებებს. ბენზინზე, გაზსა და სინათლეზე მისი დაპირებები არასდროს გვახსოვს. უბრალოდ, ის გვპირდებოდა მეტ თავისუფლებას და მიხეილ სააკაშვილის წასვლას“,** — აღნიშნა ლევან ბერძენიშვილმა.

**მანანა ნოზაძე**

### საინფორმაციო ველი

# ვინც იცის, ის მზად არის

**თანამედროვე მსოფლიოში, როცა სახელმწიფო, საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ა.შ. ცხოვრების მოვლენები ძალიან სწრაფად ვითარდება და კალეიდოსკოპური სიჭრელით გამოირჩევა, დაინტერესებული სუბიექტებისთვის სხვადასხვა სახის ინფორმაციის დროულად მიღებას ხშირად სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ეს თეზისი მით უმეტეს მართებულია ისეთ ფაფუკ და ურთულეს სფეროსთან მიმართებაში, როგორიცაა ეკონომიკა, სადაც ნებისმიერ სიახლეს უდიდესი ეფექტი შეიძლება მოყვეს ყველა დონეზე. ამის გათვალისწინებით, ეჭვგარეშეა, რომ თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამის დონეზე ხელმისაწვდომი ბიზნეს-ინფორმაციის საბაზო მონაცემთა შექმნა, დამუშავება, გამოცემა და გავრცელება ადგილობრივ მწარმოებლებისა და მომხმარებლებისთვის (და არა მარტო მათთვის) დიდი სარგებელის მომტანია.**



სწორედ ასეთ საჭირო ინფორმაციას შეიცავს „ბიზნეს-ინფორმაციის სააგენტოს“ მიერ ცოტა ხნის წინათ შექმნილი უნიკალური ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) პროდუქტი „ბიზნეს-კატალოგი“, რომელიც საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებზე ზოგადი, მარკეტინგული, ფინანსური, მენეჯმენტური და ინოვაციური ტიპის ინფორმაციის შემცველ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის ონლაინ-მონაცემთა ბაზაა.

ამ სახეობის ინფორმაციის დროულად მიღება თავისუფალი ბაზრისა და გამუდმებით მზარდი კოკურენციის პირობებში ნებისმიერი მეტ-ნაკლებად სერიოზული ეკონომიკური სუბიექტისთვის განუზომლად დიდია და უმეტეს შემთხვევაში მისი მოღვაწეობის წარმატების განმსაზღვრელი. ამიტომაცაა, რომ მსოფლიოს ყველა დიდი და საშუალო კომპანია ამ ტიპის ინფორმაციის მისაღებად ძალისხმევას არ იშურებს და მონაცემთა ბაზის მუდმივად განახლებაზე ზრუნავს, თუნდაც პოტენციური პარტნიორებისთვის გადაწყვეტილების მიღების გასაიოლებლად.

**„ბიზნეს-კატალოგში“ საქართველოში რეგისტრირებულ ათ ათასზე მეტი კომპანიის შესახებ განთავსებულია ინფორმაცია (მათი რიცხვი წლის დამლევს ოც ათასს მიაღწევს), რომელიც მათი პროფილის, სიდიდის, დამფუძნებლების, იურიდიული რეკვიზიტების, ზოგადი და უმაღლესი რგოლის მენეჯერთა საკონტაქტო არხების, პროდუქციის ექსპორტიორთა და იმპორტიორთა, უცხოელ პარტნიორთა, მომსახურე ბანკებისა და სხვ. შესახებ საჭიროების შემთხვევაში განახლებად ინფორმაციას შეიცავს.** შესაბამის ცნობებს გამოცემა როგორც საჯარო, ასევე ექსკლუზიურ წყაროებიდან იღებს, რომელიც დაახლოებით 40 საძიებო კრიტერიუმის მიხედვითაა დაჯგუფებული.

„ბიზნეს-კატალოგი“, უწინარესად, მეწარმეებზეა გათვლილი, რომლებისთვისაც მასში განთავსებულ ინფორმაციას ყოველდღიურ საქმიანობაში, სტრატეგიულ დაგეგმარებაში და ა.შ. ძალიან დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია. ამასთან, ის უაღრესად საინტერესო უნდა იყოს ასევე სავაჭრო-სამრეწველო პალატებისთვის, შესაბამისი სამთავრობო უწყებებისთვის, კვლევითი ორგანიზაციებისთვის, სხვა დაინტერესებული სუბიექტებისთვის.

ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ „ბიზნეს-კატალოგი“კარგ სამსახურს გაუწევს როგორც დამწყებ, ისე უკვე წელგამართულ, გამოცდილ მეწარმეებს, რაც ისევ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას წაადგება.

**ნინო ალექსანდრია**

### წერილი რედაქციას



# რა განვათავსოთ პრეზიდენტის სასახლეში?

**ბევრს აინტერესებს თუ რა უნდა განთავსდეს პრეზიდენტის რეზიდენციაში. იურისტ ავთანდილ კახნიაშვილის ფიქრით, იქ უნდა განთავსდეს საკონსტიტუციო სასამართლო. ამ იდეას ამყარებს რეზიდენციაზე განთავსებული დევიზით „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.**

ერთ-ერთ გაზეთში გატარებულია აზრი, რომ მასში უნდა განთავსდეს „პრეზიდენდტოტელი“ და ა. შ.

მთავრობას მიაჩნია, რომ რეზიდენციაში უნდა განთავსდეს სამინისტროები...

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ უმჯობესია პრეზიდენტის რეზიდენციაში განთავსდეს „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, თითქმის ას წელს მიღწეული რადიო, ასევე სხვადასხვა ფონდები, როგორიცაა საპარტნიორო ფონდი და სხვა, რომლის დაფუძნებასაც გვპირდება ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ბატონი ბიძინა ივანიშვილი, ამ ჩვენს მოსაზრებებს ვამყარებთ იმით, რომ 21-ე საუკუნე არის **„განათლების, მეცნიერებისა და ინფორმაციის საუკუნე“.**

**პატივისცემით**
**სერგო ნათიძე, რევაზ ფახურიძე**

### ალიან-ჩალიანი

## 50-ზე მეტი დევნილი წყალტუბოში ახალ ბინას მიიღებს

**აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მისიის დირექტორი როი პლაკნეტი, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრ დავით დარახველიძესა და რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ დავით ნარმანიასთან ერთად, წყალტუბოში, მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ბინათამშენებლობის პროექტის ფარგლებში აღდგენილი საცხოვრებლის გახსნას დაესწრება.**

**როგორც აშშ-ის საელჩოდან იტყობინებიან, პროექტი 17 ბინას, გარე ლანდშაფტსა და სათამაშო მოედანს აერთიანებს.**

**შენობა გათვლილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. პროექტის ფარგლებში ახალ, კომფორტულ ბინას 50—ზე მეტი იძულებით გადაადგილებული პირი მიიღებს.**

**პროექტს, რომლის მიზანია იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს.**

**პროექტი გათვალისწინებულია 15 ათასამდე იძულებით გადაადგილებული პირისათვის და მოიცავს ბინების რემონტს განახლებულ შენობებში, ასევე წყლისა და სანიტარული პირობების გაუმჯობესებას კოტეჯურ დასახლებებში.**

ინტერპრესი

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ევროკომისია გვპირდება, ხელი მოაწეროს შეთანხმებას საქართველოსთან და მოლდოვასთან ასოციაციის შესახებ

**ევროკომისია მზად არის გააკეთოს „ყველაფერი, თითქმის შეუძლებელიც“ იმისთვის, რომ „რაც შეიძლება მალე მოეწეროს ხელი“ შეთანხმებას საქართველოსთან და მოლდოვასთან ასოციაციის შესახებ, თუმცა თავდაპირველად ეს დოკუმენტები პარაფირებული უნდა იქნენ ვილნიუსის სამიტზე ნოემბერში. ამის შესახებ განაცხადა ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა შტეფან ფიულემ სომხეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის მიცემულ ინტერვიუში.**

„თუ შევძლებთ ვილნიუსის სამიტზე საქართველოსთან და მოლდოვასთან ამ მნიშვნელოვანი შეთანხმების პარაფირებას, მაშინ კომისიამ ზუსტად მიუთითა, რომ იგი გააკეთებს ყველაფერს სამართლებრივი მომზადებისა და ამ დოკუმენტების გადაცემისთვის, რათა მას ხელი მოეწეროს მოქმედი კომისიის უფლებამოსილებათა ვადის გასვლამდე (2014 წლის 31 ოქტომბერი – რედაქციის შენიშვნა)... სამწუხაროდ, ამ ტიპის დოკუმენტის მომზადება ევროკავშირში მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე ჩვენ ეს გვსურდა. მაგრამ ამ ორ ქვეყანასთან დაკავშირებულ შემთხვევაში მზად ვართ, გავაკეთოთ ყველაფერი, თითქმის შეუძლებელიც იმისთვის, რომ რაც შეიძლება მალე წარვადგინოთ ისინი ხელმოსაწერად“, – განაცხადა ფიულემ 13 სექტემბერს.

თბილისსა და კიშინიოვში ელოდებიან, რომ ვილნიუსში გახდება შესაძლებელი ევროკავშირთან ასოციაციის შეთანხმების პარაფირება და ხელშეკრულების მიღწევა ვაჭრობის თავისუფალი და ყოვლისმომცველი ზონის შესახებ.

უკრაინამ უკვე მოახდინა ასოციაციის შესახებ შეთანხმების პარაფირება, მაგრამ კიევის სადავო პოლიტიკური გადაწყვეტილებების გამო შეთანხმება ჯერჯერობით ხელმოწერილი არ არის. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რადოსლავ სიკორსკიმ უკრაინის ევროკავშირში ასოციირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის პირობები დაასახელა. კერძოდ, როგორც სიკოვსკიმ განაცხადა, უკრაინამ უნდა მოახერხოს პროკურატურის სისტემის, აგრეთვე საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმირება და უარი განაცხადოს სამართალდაცვის შერჩევით გამოყენებაზე.

ამავდროულად, სომხეთთან ასოციაციის შეთანხმების პარაფირების საკითხი მოიხსნა დღის წესრიგიდან იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან ვლადიმერ პუტინთან მოლაპარაკების შემდეგ 3 სექტემბერს სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა განაცხადა სომხეთის განზრახვის შესახებ შევიდეს საბაჟო კავშირში, აგრეთვე შემდგომში მონაწილეობა მიიღოს ევრაზიის ეკონომიკური კავშირის ფორმირებაში.

ამავე დროს, სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციის თანახმად, შტეფან ფიულესთან შეხვედრაზე ერევანში 12 სექტემბერს სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედვარდ ნალბანდიანმა დაადასტურა, რომ ერევანი დაინტერესებულია გააგრძელოს თანამშრომლობა ევროკავშირთან „ყველა შესაძლო მიმართულებით“.

### „სამართლებრივი განუხორციელებლობა“

**ევროპარლამენტის პლენარულ სხდომაზე გამოსვლის დროს როგორც შტეფან ფიულემ განაცხადა, აღმოსავლეთის პარტნიორობის წევრ ქვეყნებს შეუძლიათ, გააფართოონ თავიანთი თანამშრომლობა საბაჟო კავშირთან, მაგრამ მხოლოდ მეთვალყურის სახით, ვინაიდან საბაჟო კავშირის წევრობა, ევროკომისრის სიტყვებით, შეუთავსებელია თავისუფალი ვაჭრობის გაღრმავებული და ყოვლისმომცველი ზონის შეთანხმებასთან.**

„ეს არ არის დაკავშირებული იდეოლოგიურ შეუთანხმებლობასთან; ეს არ არის დაკავშირებული ეკონომიკური ბლოკების შეტაკებასთან ან დაპირისპირებასთან. ეს დაკავშირებულია სამართლებრივ განუხორციელებლობასთან“, – განმარტა ფიულემ თავის გამოსვლაში 11სექტემბერს.

„ასოციაციის შესახებ შეთანხმებათა ახალი თაობა მოგვიტანს უზარმაზარ გარდამქმნელ უპირატესობას სამართლებრივი და რეგულატიური ნორმების დაახლოებისა და ბაზრის ლიბერალიზაცისი ხარჯზე. დამოუკიდებელი გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ თავისუფალი ვაჭრობის გაღრმავებული და ყოვლისმომცველი ზონის შექმნა მოგვიტანს მნიშვნელოვან უპირატესობას. დროის განმავლობაში ექსპორტი ევროკავშირში შეიძლება გაიზარდოს ორჯერ, რაც მიგვიყვანს მთლიანი შიდაპროდუქციის ზრდასთან პრაქტიკულად 12 პროცენტამდე. მაგრამ იმისთვის, რომ მოვახდინოთ ამის რეალიზება, ჩვენს პარტნიორებს უნდა ჰქონდეთ ხელისუფლების მთელი სისრულე თავიანთ საკუთარ სავაჭრო პოლიტიკაზე, რაც არ ექნება საბაჟო კავშირის წევრებს“, – განმარტა შტეფან ფიულემ.

### „ზემოქმედების ფორმები“

**ფიულემ ასევე გვაგრძნობინა, რომ რუსეთი ახდენს ზემოქმედებას აღმოსავლეთის პარტნიორობის სახელმწიფოებზე, აიძულებს მათ უარი თქვან ევროკავშირთან შეთანხმების შესაძლო ხელმოწერაზე. ევროკომისრის სიტყვებით, ამგვარი მოქმედებები არის „მიუღებელი“. ამასთან დაკავშირებით ფიულემ დაასახელა ზემოქმედების ფორმები, რომლებსაც იყენებენ ან იმუქრებიან, რომ გამოიყენებენ რუსეთის წარმომადგენლები. ეს არის – „ენერგოშემცველებზე ფასების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა“, „ხელოვნური სავაჭრო ბარიერები, როგორებიცაა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნებთან შეუსაბამო აკრძალვები იმპორტზე და რთული საბაჟო პროცედურები“, „სამხედრო თანამშრომლობა და უშიშროების გარანტიები“, „გახანგრძლივებული კონფლიქტების ინსტრუმენტალიზაცია“.**

აღსანიშნავია, რომ 10 სექტემბრიდან რუსეთმა შეაჩერა ღვინის მიწოდება მოლდოვიდან, მიუთითა მის არადამაკმაყოფილებელ ხარისხზე. რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის ხელმძღვანელმა გენადი ონიშჩენკომ განაცხადა, რომ მოსკოვს არ აქვს განზრახული, „შეასრულოს ძიძის როლი მოლდოვის ეკონომიკისთვის“ და რომ აკრძალვა ძალაში იქნება, სანამ რუსეთი „არ დაინახავს მოლდოვის მხრიდან კონკრეტულ ნაბიჯებს, რომლებიც მიზნად ისახავენ პრობლემის სისტემურ გადაჭრას“. ამავე დროს შტეფან ფიულემ განაცხადა, რომ ევროკავშირი აგრძელებს მოლდოვური ღვინისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტს, ვინაიდან ევროკავშირის ორგანოებმა, რომლებიც თვალყურს ადევნებენ კვების პროდუქტების უსაფრთხოებას, „ვერ გამოავლინეს ვერანაირი სანიტარულ-ჰიგიენური ნაკლოვანებანი მოლდოვის საიმპორტო საქონელში“.

### მზადყოფნა თანამშრომლობისთვის

**ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა თავის გამოსვლაში ევროპარლამენტში აღნიშნა, რომ აღმოსავლური პარტნიორობა არ არის მიმართული რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, და რომ ევროკავშირში დაინტერესებული არიან ტრადიციული კავშირურთიერთობებით რუსეთსა და აღმოსავლური პარტნიორობის წევრ ქვეყნებს შორის.** შტეფან ფიულემ განაცხადა ევროკავშირის მზადყოფნის შესახებ თანამშრომლობასთან დაკავშირებით, რომელიც მიზნად ისახავს გზების ძიებას „მაქსიმალური შეთავსებულობის შესახებ ევროკავშირსა და ევრაზიულ სტრუქტურებს შორის.

Voice of America

## დედამიწის ზურგზე



**400 უმდიდრესი ამერიკელის სიას მეოცედ სათავეში ბილ გეიტსი უდგას**

**„მაიკროსოფტის“ დამფუძნებლისა და თანამფლობელის ქონება 72 მილიარდ დოლარადაა შეფასებული. მთლიანად რეიტინგის ლიდერების სამეული ერთი წლის განმავლობაში უცვლელი დარჩა. მეორე ადგილზეა უორენ ბაფეტი, მესამეზე – ლარი ელისონი. ყველა 400-მა ბიზნესმენმა ერთი წლის განმავლობაში გამოიმუშავა ქონება, რომელიც რუსეთის ერთი წლის საშინაო მთლიანი პროდუქციის ტოლია.**

* * *

**აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზაზე სროლის დროს დაშავდა 8 კაცი, ობამამ გლოვა გამოაცხადა**



**ცეცხლსასროლი ჭრილობა მიიღო სამმა კაცმა, ორ მათგანს ქირურგიული ჩარევა დასჭირდა. პოლიციას მიაჩნია, რომ მსროლელს თანამოაზრეები არ ჰყოლია. პარასკევს ამერიკის შეერთებულ შტატებში დაუშვებენ დროშებს 12 დაღუპულის ხსოვნის აღსანიშნავად. ობამამ ფლოტის სარდლის მეშვეობით დაღუპულების ოჯახებსა და კოლეგებს თანაგრძნობა გამოუცხადა.**

* * *

**მექსიკაში გრიგალ „ინგრიდისგან“ და ტროპიკული შტორმის „მანუელისგან“ უკვე 50 კაცი დაიღუპა**



**ჰერეროს შტატში წყნარი ოკეანის სანაპიროზე მთლიანად 30 კაცი დაიღუპა, 12 ადამიანი ზვავის მსხვერპლი გახდა ვერაკრუს შტატში. კიდევ 8 მსხვერპლს ითვლიან იდალგოს, ოაჰაკას და პუებლოს შტატებში. ამავე დროს იტყობინებიან 25 უგზო-უკვლოდ დაკარგულის შესახებ.**

* * *

**მაკედონიაში დააპატიმრეს 17 ჯაშუში, კიდევ სამს ეძებენ**

**სპეცოპერაცია შესაბამისი სახელწოდებით ხელისუფლების მიერ ხორციელდებოდა ორი წლის განმავლობაში, და ორი დაპატიმრებული „უკვე იხდის სასჯელს“. დაკავებულთა შორის არიან დაზვერვის ეროვნული სააგენტოს, კონტრდაზვერვის ადგილობრივი სამსახურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, ქვეყნის პარლამენტის თანამშრომლები.**



# ევროპის სამაუწყებლო კავშირმა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი სოჭი-2014-ზე დაუშვა

### საქართველო შეშფოთებულია ზამთრის ოლიმპიადაზე ამ რეგიონებიდან ჟურნალისტების შესაძლო აკრედიტაციის გამო

**საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში გაგზავნა წერილი მოთხოვნით – გაერკვნენ, თუ ევროპის სამაუწყებლო კავშირი რატომ აძლევს სოჭის 2014 წლის ოლიმპიადაზე აკრედიტაციის შესაძლებლობას ტელეჟურნალისტებს აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან. პასუხს უახლოეს დროში ელოდებიან.**

– დაუშვებელია, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი როგორმე იყვნენ წარმოდგენილი დამოუკიდებლად თამაშებზე, – განაცხადა ჩვენთან საუბარში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა.

ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში არ გამორიცხავენ, რომ ევროპის სამაუწყებლო კავშირის შტაბ-ბინა, რომელიც განთავსებულია ჟენევაში და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან შეთანხმებით ახორციელებს ჟურნალისტების აკრედიტაციას, მიიღო არასწორი მონაცემები რუსეთიდან. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი არ არიან ევროპის სამაუწყებლო კავშირის წევრები. საქართველო მასში წარმოდგენილია საზოგადოებრივი ტელემაუწყებლით, რომელმაც აღმოაჩინა კიდეც საძრომი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საერთაშორისო ბაზარზე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის.

– ეს არასასიამოვნო პრეცედენტია, მაგრამ შეგახსენებთ, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი არ აღიარებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს , – აღნიშნა ელგუჯა ბერიშვილმა.




ამ დროს საკითხი საქართველოს უარის შესახებ თამაშებში მონაწილეობის შესახებ არ განიხილება. სამმა ქართველმა სამთო მოთხილამურემ უკვე მიიღო ოლიმპიური ლიცენზიები. ასეთივე ოდენობის ლიცენზიებს ელოდებიან ფიგურისტებიც. საქართველოს მთავარი იმედია – ფიგურული მოციგურავე ელენე გედევანიშვილი, რომელმაც ორჯერ მოიპოვა ბრინჯაოს მედალი ევროპის ჩემპიონატებზე.

საქართველომ შესთავაზა რუსეთს დახმარება თამაშების უშიშროების უზრუნველყოფაში, მაგრამ, როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ამტკიცებს, რეაქცია ინიციატივაზე ჯერჯერობით არ ყოფილა. ამ დროს ბათუმში 13 სექტემბერს ურთიერთსროლის დროს პოლიციამ დააპატიმრა რუსეთის 25 წლის მოქალაქე, გროზნოელი იუსუფ ლაკაევი. მოწმდება ცნობები მისი მონაწილეობის შესახებ ექსტრემისტულ საქმიანობასა თუ ტერორიზმში. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებოდნენ, რომ ლაკაევი შეიძლებოდა განხილულიყო მათ შორის, ვინც საფრთხეს უქმნის ოლიმპიადა-2014-ის უსაფრთხოებას.

თამაშებზე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტელეჟურნალისტებისთვის აკრედიტაციის მიცემის შესაძლებლობა თანდათანობით გადადის პოლიტიკურ სიბრტყეზე და იძლევა ახალ არგუმენტებს თამაშებში საქართველოს მონაწილეობის მოწინააღმდეგეთა სასარგებლოდ. მაგალითად, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც თამაშის ბოიკოტისკენ მოგვიწოდებს, მოაწყობს პიკეტებს რუსეთის ინტერესების სექციასთან თბილისში შვეიცარიის საელჩოსთან (ბერნი ასრულებს შუამავლის ფუნქციას საქართველოსა და რუსეთს შორის 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის გამო დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ). აქციები ასევე გაიმართება პარლამენტისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შენობის წინ. პარტია „მემარცხენე მოძრაობის“ ლიდერმა, იოსებ შატბერაშვილმა რომელიც ასევე ოლიმპიადის ბოიკოტისკენ მოგვიწოდებს, ჩვენს გაზეთს უამბო, რომ ევროპის სამაუწყებლო კავშირის პოზიციის გამო იგი გააკეთებს განცხადებას რუსეთის ვიზის მიღებაზე, რათა თავის მომხრეებთან და სოჭში მცხოვრებ ქართველებთან ერთად მოაწყონ საპროტესტო აქციები უშუალოდ ოლიმპიურ ობიექტებთან.

ИЗВЕСТИЯ

**ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის ერთ-ერთ ნომერში ანდერძით მემკვიდრეობით შემთხვევაში პირველი რიგის მემკვიდრეებისთვის სავალდებულო წილის განსაზღვრის სამართლებრივ საკითხებზე ვისაუბრეთ.** წერილს არაერთი მკითხველი გამოეხმაურა, რომელთაც მათთვის საინტერესო შეკითხვებზე ტელეფონის მეშვეობით გავეცით პასუხი. ამჯერად გვთხოვენ გაზეთის საშუალებით განვუმარტოთ რა არის **საანდერძო დანაკისრი, ვინ შეიძლება იყოს მისი შემსრულებელი, როგორ გადაწყდება საკითხი მაშინ, თუ საანდერძო დანაკისრის აღმსრულებელი გარდაიცვალა, რამდენი წელია კანონით დადგენილი საანდერძო დანაკისრის მოთხოვნისთვის, აქვს თუ არა უფლება საანდერძო დანაკისრის მიმღებს, უარი თქვას მის მიღებაზე, ეკისრება თუ არა მას პასუხისმგებლობა სამკვიდროს დამტოვებლის ვალებისთვის და სხვა.**

უპირველესად განვმარტავთ, რომ მოანდერძეს შეუძლია ანდერძით დააკისროს მემკვიდრეს სამკვიდროს ხარჯზე ერთი ან რამდენიმე პირის სასარგებლოდ რაიმე ვალდებულების შესრულება. ასეთ განკარგულებას საანდერძო დანაკისრი (ლეგატი) ეწოდება, ხოლო პირს, რომლის სასარგებლოდაც ეს კეთდება — საანდერძო დანაკისრის მიმღები (ლეგატარი).

**კითხვა: იქნებ აგვიხსნათ, ვინ შეიძლება იყოს საანდერძო დანაკისრის მიმღები და მსგავს შემთხვევაში ვის შეიძლება დაეკისროს რაიმე ვალდებულების შესრულება?**

**პასუხი:** საანდერძო დანაკისრის მიმღები შეიძლება იყოს როგორც მემკვიდრეთა წრეში შემავალი, ისე გარეშე პირიც. რაიმე ვალდებულების შესრულება კი შეიძლება დაეკისროს ყოველ ანდერძით მემკვიდრეს: ფიზიკურ ან იურიდიულ პირს და ხაზინასაც, თუ ქონება მას ეანდერძა.

მამკვიდრებლის მიზნის განხორციელებისათვის ზოგჯერ აუცილებელია ლეგატის გამოყენება, მაგალითად, როცა მამკვიდრებელს სურს სამკვიდროს გადასვლა მემკვიდრის საკუთრებაში, მაგრამ ისე, რომ ქონების გარკვეული ნაწილით განსაზღვრული დროით ან მთელი სიცოცხლის მანძილზე ისარგებლოს სხვა პირმა. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ლეგატი წარმოშობს არა მემკვიდრეობით, არამედ ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობას, რომელშიც კრედიტორის სახით გამოდის ლეგატარი, ხოლო მოვალის სახით — მემკვიდრე.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ რა უფლებები ენიჭება ლეგატის საფუძველზე ლეგატარს და აგებს თუ არა იგი პასუხს სამკვიდროს დამტოვებლის ვალებისთვის?**

**პასუხი:** ლეგატის საფუძველზე ლეგატარი ხდება მემკვიდრის კრედიტორი და უფლება აქვს მოითხოვოს მისგან ანდერძით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება, თვით ლეგატარი კი, არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს კრედიტორის მოვალე და სამკვიდროს დამტოვებლის ვალებისათვის მას არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

ლეგატარი მემკვიდრის განსაკუთრებული სახის კრედიტორია, რამდენადაც მისი მოთხოვნის უფლება ანდერძიდან წარმოიშობა. მოანდერძეს უფლება აქვს, დააკისროს მემკვიდრეს საცხოვრებელი ბინით ან მისი განსაზღვრული ნაწილით სამუდამო სარგებლობის უფლების გადაცემა იმ პირისთვის, რომელიც მამკვიდრებელთან ერთად ცხოვრობდა არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში სამკვიდროს გახსნამდე. აღნიშნული არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ მამკვიდრებელმა მემკვიდრეს საცხოვრებელი ბინის ან მისი ნაწილის სარგებლობაში სხვა პირისთვის გადაცემა დააკისროს, მაგრამ არა სამუდამოდ.

**კითხვა: აქვს თუ არა უფლება ლეგატარს ოჯახის წევრებთან ერთად იცხოვროს იმ ბინაში, რომელი ცხოვრების უფლებაც მას მოანდერძემ მიანიჭა?**

**პასუხი:** ასეთ შემთხვევაში არსებობს გარკვეული შეზღუდვა: თუ მოანდერძემ ლეგატარს მიანიჭა საცხოვრებელი ბინით სარგებლობის უფლება, ეს არ აძლევს მას საშუალებას, თავის ოჯახის წევრებთან ერთად იცხოვროს აღნიშნულ ბინაში, მან პირადად უნდა ისარგებლოს იმ ბინით, რომელიც მას სამუდამო სარგებლობაში გადაეცა. ამ უფლების სხვისთვის გადაცემა არ დაიშვება. ეს უფლება არც მემკვიდრეობით გადადის. ლეგატართან ერთად მისმა ოჯახის წევრებმა შეიძლება იცხოვრონ მხოლოდ მაშინ, თუ ანდერძში იქნება ამის შესახებ მითითებული.

კანონმდებლობით გათვალისწინებულია ისეთი შემთხვევაც, როდესაც საანდერძო დანაკისრის საგანი შეიძლება იყოს დანაკისრის მიმღებისთვის (ლეგატარისთვის) სამკვიდროში ან სხვა სანივთო უფლებით, ისეთი ქონების შეძენა და გადაცემა, რომელიც არ შედის სამკვიდროში, ასევე განსაზღვრული სამუშაოს შესრულება, მომსახურების გაწევა და ა. შ. მაგალითად, მემკვიდრეს შეიძლება დაევალოს ლეგატარისათვის, როგორც სამკვიდროში შემავალი ავტომობილის გადაცემა საკუთრებად, ისე მისთვის ავტომობილის შეძენა.

**კითხვა: შეიძლება თუ არა, საანდერძო დანაკისრი ზღუდავდეს მემკვიდრის მიერ მიღებული ქონების გამოყენებას?**

**პასუხი:** არა, არ შეიძლება, იმიტომ, რომ კანონით დაუშვებელია ანდერძში საანდერძო დანაკისრის სახით ისეთი პირობების გათვალისწინება, რომლითაც, მაგალითად, მემკვიდრე ვალდებული იქნება, გაყიდოს მემკვიდრეობით მიღებული სახლი და გადასცეს შვილიშვილებს განსაზღვრული თანხა.

რამდენადაც საანდერძო დანაკისრის მიმღები (ლეგატარი) წარმოადგენს არა მამკვიდრებლის, არამედ განსაზღვრული მემკვიდრის კრედიტორს, მისი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ იმ მემკვიდრის წილის ანგარიშზე, რომელსაც დაეკისრა საანდერძო დანაკისრის შესრულება. ლეგატარს არ შეუძლია საანდერძო დანაკისრის შესრულება მოითხოვოს იმ წილიდან, რომელიც სხვა მემკვიდრეებმა მიიღეს. მემკვიდრე საანდერძო დანაკისრს შეასრულებს მხოლოდ სამკვიდროდან მისი წილის ფარგლებში. თუ სამკვიდრო დანაკისრის შესასრულებლად საკმარისი არ არის, შესრულება მოხდება იმ ფარგლებში, რისთვისაც საკმარისი იქნება მოცემული მემკვიდრის წილი სამკვიდროდან. დანაკისრის შესრულებისას მემკვიდრის, რომელსაც დანაკისრის შესრულება დაეკისრა, წილს გა-

# საანდერძო დანაკისრი (ლეგატი)

**რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი**

**ირინე ღლონტი** (ტელ.: 593359909)



მოაკლდება მამკვიდრებლის ვალები, რომელიც მან გაისტუმრა. მაგალითად, თუ მემკვიდრის წილი სამკვიდროდან შეადგენდა ათი ათასი ლარის ღირებულების ქონებას, რომლიდანაც ხუთი ათასით მამკვიდრებლის ვალები გაისტუმრა, მაშინ საანდერძო დანაკისრი უნდა შესრულდეს ხუთი ათასი ლარის ფარგლებში.

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც მემკვიდრე, რომელსაც საანდერძო დანაკისრის შესრულება ევალება, გარდაიცვლება, ასეთ დროს საანდერძო დანაკისრის ვალდებულება შეწყდება, ვინაიდან დანაკისრით რაიმე ისეთი მოქმედების შესრულებაა გათვალისწინებული, რომელიც სხვა მემკვიდრეებს არ შეუძლიათ. ეს ისეთივე შემთხვევაა, როცა ვალდებულების შესრულება შეუძლებელია მოვალის პირადი მონაწილეობის გარეშე.

**კითხვა: რას ითვალისწინებს კანონი იმ შემთხვევაში, როცა მოანდერძემ მთელი თავისი ქონება რამდენიმე მემკვიდრეს დაუტოვა, მაგრამ ანდერძით არ იყო განსაზღვრული თითოეულის წილი?**

**პასუხი:** ასეთ შემთხვევაში, თუ არსებობს საანდერძო დანაკისრი, იგი ყველამ თანაბრად უნდა შეასრულოს. ხოლო თუ მოანდერძემ ყველა დეტალი გაითვალისწინა ანდერძში, რამდენიმე ანდერძით მემკვიდრეს დააკისრა საანდერძო დანაკისრის შესრულება და ანდერძით ამ მემკვიდრეთა წილი განსაზღვრულია, მემკვიდრეები თანაბრად კი არ შეასრულებენ დანაკისრს, არამედ თავიანთი წილის შესაბამისად.

სამოქალაქო კოდექსით დარეგულირებულია ისეთი შემთხვევა, როდესაც ანდერძით მემკვიდრეს, რომელსაც საანდერძო დანაკისრის შესრულება ევალება, სავალდებულო წილის მიღების უფლებაც აქვს.

თუ მემკვიდრეს, რომელიც ანდერძით მემკვიდრეცაა და ამავე დროს სავალდებულო მემკვიდრეს წარმოადგენს, საანდერძო დანაკისრის შესრულება დაევალა, პირველ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, თუ რა მოცულობით მიიღებდა იგი სავალდებულო წილს, ანდერძით მემკვიდრე რომ არ ყოფილიყო. თუ გაირკვა, რომ ანდერძით გათვალისწინებული ქონება სავალდებულო წილს არ აღემატება ან მასზე ნაკლებია, მაშინ მემკვიდრე, რომელსაც საანდერძო დანაკისრის შესრულება დაევალა, ამ მოვალეობისგან თავისუფლდება. თუ ანდერძით გათვალისწინებული ქონება სავალდებულო წილზე მეტია, მაშინ მემკვიდრემ დანაკისრი უნდა შეასრულოს, მაგრამ მხოლოდ იმ წილის ფარგლებში, რაც სავალდებულო წილს აღემატება. მაგალითად, თუ სავალდებულო წილი შეადგენს ათასი ლარის ღირებულების ქონებას, ხოლო ანდერძით გათვალისწინებულია ათას ხუთასი ლარი, მაშინ მემკვიდრემ საანდერძო დანაკისრი უნდა შეასრულოს ხუთასი ლარის ფარგლებში.

**კითხვა: არის თუ არა კანონით დაწესებული სპეციალური ვადა საანდერძო დანაკისრის შესრულების მოთხოვნისთვის და თუ დაწესებულია, როდიდან გამოითვლება იგი?**

**პასუხი:** საანდერძო დანაკისრის შესრულების მოთხოვნისათვის სპეციალური ვადა - სამი წელია დადგენილი. ეს ვადა გამოითვლება არა იმ დღიდან, როცა ლეგატარმა გაიგო ან უნდა გაეგო საანდერძო დანაკისრის არსებობის შესახებ, არამედ სამკვიდროს გახსნის დღიდან. ასე, რომ საანდერძო დანაკისრის მიმღებს უფლება აქვს მოითხოვოს საანდერძო დანაკისრის შესრულება სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში.

საანდერძო დანაკისრის მიმღებს უფლება აქვს, უარი თქვას დანაკისრის მიღებაზე, ისევე როგორც მემკვიდრეს აქვს სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის უფლება. მაგრამ აქაც არის განსხვავება: ლეგატარს შეუძლია, დანაკისრზე უარის თქმა სხვის სასარგებლოდ, მემკვიდრეს არ შეუძლია. იმ შემთხვევაში, თუ ლეგატარი უარს იტყვის სამკვიდროზე ან შესაბამის ნაწილზე, იგი დარჩება იმ მემკვიდრეს, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა დანაკისრის შესრულება, ხოლო თუ დანაკისრის შესრულება რამდენიმე მემკვიდრეს ევალებოდა, მაშინ მათზე განაწილდება.

**კითხვა: სამართლებრივად როგორ გადაწყდება საკითხი, თუ საანდერძო დანაკისრის მიმღები უარს იტყვის საანდერძო დანაკისრის მიღებაზე?**

**პასუხი:** თუ საანდერძო დანაკისრის მიმღები უარს იტყვის დანაკისრის მიღებაზე, მემკვიდრე, რომელსაც საანდერძო დანაკისრის შესრულება დაევალა, თავისუფლდება მისი შესრულების მოვალეობისგან.

შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევასაც, როდესაც საანდერძო დანაკისრის მიმღები სამკვიდროს გახსნის შემდეგ გარდაიცვალა, მაგრამ ვერ მოასწრო თანხმობის გამოთქმა დანაკისრის მიღებაზე. ლეგატარის გარდაცვალება ყოველთვის არ ათავისუფლებს მემკვიდრეს დანაკისრის შესრულებისგან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის ამ მოვალეობისგან გათავისუფლდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ლეგატარი სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვლება. თუ ის სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი იყო, მაგრამ დანაკისრის მიღებაზე თანხმობის გამოთქმამდე გარდაიცვლება, მაშინ მემკვიდრე ვალდებულია შეუსრულოს დანაკისრი ლეგატარის მემკვიდრეებს.

კანონი უფლებას აძლევს მოანდერძეს, დაავალოს მემკვიდრეს (მემკვიდრეებს) რაიმე მოქმედების შესრულება საერთო-სასარგებლო მიზნით.

მაგალითად, მოანდერძეს შეუძლია უანდერძოს მემკვიდრეს (მემკვიდრეებს) დიდი ღირებულების ფერწერული ნაწარმოებები და ამავე დროს დაავალოს მას (მათ) მისცენ სურათებით სარგებლობის უფლება პერიოდული გამოფენების მომწყობთ. რაიმე მოქმედება საერთო-სასარგებლო მიზნით, საანდერძო დანაკისრისგან განსხვავებით (რომელიც ყოველთვის ქონებრივი ხასიათისაა), შეიძლება იყოს როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი.

საანდერძო დანაკისრი კონკრეტული პირის (პირების) სასარგებლოდ მოითხოვს რაიმე მოქმედების შესრულებას, საერთო-სასარგებლო მიზნით. რაიმე მოქმედება კი უნდა შესრულდეს პირთა განუსაზღვრელი წრისთვის. მაგალითად, თუ პირმა მეუღლეს უანდერძა სამედიცინო ბიბლიოთეკა და დაავალა მისი გაცნობა ყველა მსურველისათვის, ეს იქნება დაკისრება საერთო-სასარგებლო მიზნით, რადგან პირთა განუსაზღვრელ წრეს ეხება.

რაიმე მოქმედების დაკისრება საერთო-სასარგებლო მიზნით, უმეტეს შემთხვევაში, არაქონებრივი ხასიათის მოქმედებაში გამოიხატება. თუ დაკისრებული მოქმედება ქონებას ეხება, მაშინ გამოყენებული უნდა იქნეს საანდერძო დანაკისრის მარეგულირებელი ნორმები.

**კითხვა: გადადის თუ არა მემკვიდრეობით საერთო-სასარგებლო მიზნით რაიმე მოქმედების შესრულების ვალდებულება?**

**პასუხი:** დიახ, გადადის. თუ მემკვიდრე, რომელსაც ანდერძით ევალებოდა რაიმე მოქმედება საერთო-სასარგებლო მიზნით, გარდაიცვალა, ვალდებულების შესრულება გადადის სხვა მემკვიდრეებზე, რომლებმაც სამკვიდრო მიიღეს. რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში დაკისრება ხდება საერთო-სასარგებლო მიზნით, მითითებული ნორმა ითვალისწინებს პირთა ფართო წრეს, რომლებსაც სასამართლოს მეშვეობით შეუძლიათ მოითხოვონ მემკვიდრისაგან დაკისრებული მოქმედების შესრულება.

აი, ის ძირითადი საკითხები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავს საანდერძო დანაკისრის შესრულების ვალდებულებას.

თუ დაინტერესებულ მკითხველს კვლავ დაებადებათ კონკრეტული შეკითხვები, გთხოვთ, მოგვწეროთ რედაქციის ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან შეგვეხმიანოთ მითითებული ტელეფონის ნომერზე და გპირდებით, თქვენთვის მნიშვნელოვან საკითხებზე აუცილებლად გაგიწევთ კანონიდან გამომდინარე, ამომწურავ უფასო იურიდიულ კონსულტაციას.

⊙ წყალბურთი



# 2 მოგება 3 მარცხის წილ

**მალტაზე დამთავრდა 1996-1997 წლებში დაბადებულ წყალბურთელ ვაჟთა ევროპის პირველობის ფინალური ეტაპი, რომელშიც სერბი სპეციალისტის — იოვან პოპოვიჩის ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრებმაც იასპარეზა.**

ჩვენმა წყალბურთელებმა (ლუკა ჯანჯღავა, ლევან მოსაშვილი, რევაზ იმნაიშვილი, მამუკა თუხარელი, ბექა ჭოლოკავა, ზურაბ ჩიკვაიძე, ირაკლი რაზმაძე, გიორგი ზაქარეიშვილი, ხვიჩა ჯახაია, ანდრია ბითაძე, გიორგი მაგრაქველიძე, გიორგი გაბადაძე, დავით რევია) D ჯგუფში ყველა შეხვედრა წააგეს: გერმანელებთან — 9:11, უნგრელებთან — 5:9, იტალიელებთან — 10:19, მეცამეტე-მეთექვსმეტე ადგილებისთვის ბრძოლაში მალტას (11:6) და უკრაინას (12:8) აჯობეს და XIII ადგილზე გავიდნენ. ჩემპიონობა ჩერნოგორიელებმა მოიპოვეს, რომლებმაც ფინალში სერბებს აჯობეს 7:5. მესამე ადგილი უნგრელების მძლეველმა (10:9) იტალიელებმა დაიკავეს.

**ლაშა დიდია**

⊙ ჭადრაკი

# ხოტენაშვილიც ითამაშებს



**ტაშკენტში დღეს დაიწყება და 30 სექტემბრამდე გასტანს ფიდეს ქალთა გრან პრის მესამე ეტაპი, რომელშიც 12 უძლიერესი დიდოსტატი შეეცილება ერთმანეთს პირველობას.** საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებენ ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2607), ჟაო სიუ (ჩინეთი, 2579), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2535), კატერინა ლაგნო (უკრაინა, 2532), ბელა ხოტენაშვილი (საქართველო, 2514), ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი, 2496), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2495), ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი, 2475), ელინა დანიელიანი (სომხეთი, 2470), ოლგა გირია (რუსეთი, 2439), გულისკან ნახბაიევა (ყაზახეთი, 2307), ანფისა მუმინოვა (უზბეკეთი, 2293). გრან პრის პირველი ეტაპის (ჟენევა) გამარჯვებულია ბელა ხოტენაშვილი, ხოლო დილიჟანში მეორე რაუნდი ჰამფი კონერუმ მოიგო.

**ლექსო ცინცაძე**

⊙ რაგბი

# სათავეში — ცხრიანებით

**საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ ჩემპიონატში მე-2 ტურის შეხვედრები გაიმართა. პირველობის სტარტზე „ბოლნისის ყოჩებთან“ დამარცხებისთვის ქვეყნის ჩემპიონმა „ლელომ“ ჯავრი „აკადემიაზე“ იყარა: მატჩის დასაწყისშივე ჯარიმა გაიტანა, შემდეგ გუგავამ დაამიწა ბურთი მეტოქის ჩათვლის მოედანზე — 8:0, შესვენებამდე მეტოქეებმა იერიშები თითო ზუსტი ჯარიმებით დაასრულეს. მეორე ტაიმში ჩემპიონების უპირატესობა აშკარა გახდა და „ლელომ“ დიდი ანგარიშით მოიგო — 42:6.**

ავჭალის სარაგბო ბაზაზე „არმაზი“ და „ლოკომოტივი“ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ტიტულოვანმა რკინიგზელებმა შეხვედრის პირველ ნახევარში მეტოქის იერიშებს ვერაფერი დაუპირისპირეს და 21 ქულის მოგროვების საშუალება მისცეს. შესვენების შემდეგ „ლოკომოტივი“ გააქტიურდა, მაგრამ დანაკარგის ანაზღაურება ველარ შეძლო და 7:21 დამარცხდა. **დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა:** „ბათუმი“ — ქუთაისის „აია“ 9:18, რუსთავის „ხარები“ — „არმია“ 11:38, „ჯიქები“ — „ბოლნისის ყოჩები“ 22:22.

**სატურნირო მდგომარეობა ორი ტურის შემდეგ:** „არმია“, „არმაზი“, „აია“- 9-9, „ბოლნისის ყოჩები“ — 6, „ლელო“ — 5, „ლოკომოტივი“ — 4, „ჯიქები“ — 3, „ხარები“ — 1, „ბათუმი“ — 0, „აკადემია“ — 0 ქულა.

**გივი გაგუა**



⊙ სამბო

# რვა მედალი და გუნდური მეორე



**კადეტ სამბისტთა წლევანდელი ევროპის ღია პირველობა რიგაში (ლატვია) გაიმართა. შეჯიბრებაში ამჯერად ამერიკის, სამხრეთ კორეის, მონღოლეთისა და ყირგიზეთის წარმომადგენლებმაც იასპარეზეს. ეს მით უფრო მისასალმებელია, რომ გაისად ამ ასაკში მსოფლიოს პირველობის ჩატარებას აპირებენ. ქართველებმა (მწვრთნელები — დავით ხაჩიძე და ემილ რაში) ტურნირზე ათივე წონით კატეგორიაში მოსინჯეს ძალები, სხვადასხვა სინჯის რვა მედალი მოიპოვეს და 38 ქულით გუნდური მეორე ადგილი დაიკავეს.**

55 კილოგრამ წონით კატეგორიაში ქუთაისელმა ჯამბულ ქურდიანმა ყველა მეტოქე დაამარცხა და შარშან (50 კილოში) მსგავს შეჯიბრებაში მოპოვებული ჩემპიონობა შეინარჩუნა. წლეულსაც ფინალში ბულგარელ ბოჟიდრ ტემელკოვს მოუგო მშრალი ანგარიშით — 6:0. მხოლოდ გადამწყვეტი პაექრობები დათმეს და მეორე ადგილებზე გავიდნენ გიორგი ნიაზაშვილი (საგარეჯო, 42), ვახტანგ მეტივიშვილი (ხაშური, 46), ბექა ტერტერაშვილი (საგარეჯო, 60) და დავით იმერლიშვილი (ქარელი, 84). ბრინჯაოს მედლები ვანო ხუბაშვილს (დუშეთი, 50), გოგა ქევხიშვილსა (გურჯაანი, 72) და გიორგი მულაძეს (ქარელი, 78) ერგოთ.

**ვაჟა ნოსირელი**

⊙ კალათბურთი

# უნაკლო ფორმატი არ არსებობს!




**ტყუილად როდი წუხს სპორტული სამყარო, ამა თუ იმ ტურნირის გამართვის იდეალური სისტემის გამოგონება შეუძლებელიაო.**

საილუსტრაციოდ სლოვენიაში მიმდინარე კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატი გამოდგება, სადაც კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლის შანსს ის გუნდები ინარჩუნებენ, რომლებმაც ჯგუფურ რაუნდში 3-3(!) მატჩი წააგეს. მიდი და ამის შემდეგ ნუ დაეჭვდები: მართლაც უძლიერესი დაეუფლება ტიტულს?

დავძენთ, რომ 2001 წლიდან მოყოლებული, ბერძნები პირველად დარჩნენ მეოთხედფინალს მიღმა, ხოლო ფინელებმა ევროპირველობების ისტორიაში ასევე პირველად სძლიეს სლოვენიელებს.

**„ევრობასკეტ — 2013“**
**II ჯგუფური ეტაპის**
**ბოლო ტური**

**E ჯგუფი. ბელგია — ლატვია 60:56. ყველაზე შედეგიანები:** მასოტი — 14 ქ, 4 მ, 1 პ. მუკუბუ — 13 ქ, 4 მ. ჰერველე — 10 ქ, 7 მ, 1პ. (ბელგია); ფრეიმანისი — 10 ქ, 10 მ. კუკსიქსი — 9 ქ, 4 მ. სტრელნიექსი — 7 ქ, 1 მ, 4 პ (ლატვია). **ლიტვა — უკრაინა 70:63. ყველაზე შედეგიანები:** კლეიზა — 15 ქ, 5 მ. მოტიეიუნასი — 10 ქ, 4 მ, 1 პ. სეიბუტისი — 7 ქ, 2 მ, 4 პ (ლიტვა); გლადირი — 18 ქ, 5 მ, 2 პ. ჯეტერი — 10 ქ, 8 პ. კორნიენკო — 9 ქ, 8 მ, 3 პ (უკრაინა). **სერბეთი — საფრანგეთი 77:65. ყველაზე შედეგიანები:** კრსტიჩი — 19 ქ, 4 მ, 4 პ. ნედოვიჩი — 17 ქ, 3 მ, 1 პ. ბოგდანოვიჩი — 14 ქ, 5 მ, 2 პ. სტიმაჩი — 8 ქ, 6 მ. გაგიჩი — 8 ქ, 6 მ (სერბეთი). ბატუმი — 12 ქ, 7 მ, 2 პ. დიაო — 12 ქ, 5 მ, 1 პ. აჯინკა — 12 ქ, 4 მ, 2 პ. დე კოლო — 12 ქ, 2 მ.




პარკერი — 10 ქ, 5 პ (საფრანგეთი).

**საბოლოო მდგომარეობა:** სერბეთი, ლიტვა — 4-4, საფრანგეთი — 3, უკრაინა — 2, ბელგია, ლატვია — 1-1 მოგება.

**F ჯგუფი. ხორვატეთი — საბერძნეთი 92:88 (მეორე დამატებით დროში). ყველაზე შედეგიანები:** ბოგდანოვიჩი — 22 ქ, 4 მ. ტომიჩი — 15 ქ, 12 მ, 2 პ. უკიჩი — 14 ქ, 5 მ, 5 პ. დრეიპერი — 13 ქ, 3 მ, 2 პ (ხორვატეთი); ბურუსისი —21 ქ, 9 მ. სპანულისი — 18 ქ, 4 მ, 3 პ. ზისისი — 14 ქ, 2 მ, 5 პ. კაიმაკოღლუ — 14 ქ, 4 მ, 2 პ (საბერძნეთი). **იტალია — ესპანეთი 86:81 (დამატებით დროში). ყველაზე შედეგიანები:** ჯენტილე — 25 ქ, 7 მ. 1 პ. არადორი — 17 ქ, 4 მ, 3 პ. ბელინელი — 16 ქ, 8 მ. დატომე — 11 ქ, 4 მ, 1 პ (იტალია); გაზოლი — 32 ქ, 10 მ. როდრიგესი — 18 ქ, 3 მ, 6 პ. კლავერი — 5 ქ, 6 მ. (ესპანეთი). **ფინეთი — სლოვენია 92:76. ყველაზე შედეგიანები:** ლი — 17 ქ, 6 მ, 2 პ. სალინი — 16 ქ, 5 მ, 1 პ. კოივისტო — 16 ქ, 2 პ. კოპონენი — 14 ქ, 4 მ, 6 პ. აჰონენი — 11 ქ, 1 მ. 3 პ (ფინეთი); ნაჩბარი — 15 ქ, 5 მ, 2 პ. ბალაზიჩი — 14 ქ, 1 მ. ვიდმარი — 7 ქ, 6 მ, 2 პ. ლორბეკი — 7 ქ, 2 მ, 2 პ (სლოვენია).

**საბოლოო მდგომარეობა:** ხორვატეთი — 4, სლოვენია — 3, იტალია, ესპანეთი საბერძნეთი, ფინეთი — 2-2 მოგება.

**მეოთხედფინალში ითამაშებენ:** სერბეთი — ესპანეთი, სლოვენია — საფრანგეთი (დღეს), ხორვატეთი — უკრაინა, ლიტვა — იტალია (ხვალ).

**ვიტალი ჯაფარიძე**

⊙ ინტერნეტიდან

# ყურებამდე შეყვარებული ბერდიხი



**ჩეხი ჩოგბურთელი ტომაშ ბერდიხი ისე ძალიან ყოფილა მოდელ ესთერ სატოროვაზე შეყვარებული, რომ ტრფობის ალით გული აქვს დამწვარი და როგორც ევროპელი „სიყვარულოგები“ ირწმუნებიან, თუკი მოვლენები ლოგიკურად განვითარდება, შესაძლებელია, ტომაშმა ესთერთან ქორწინებაზეც კი თქვას თანხმობა.**

აბა, ვინ წარმოიდგენდა, რომ ტომაში თავის მეგობარ ქალთან ლუსი საფაროვასთან ათწლიან ურთიერთობას ასე მარტივად გაწყვეტდა და ესთერ სატოროვას ფეხთა ქვეშ აღმოჩნდებოდა?!... მაგრამ სიყვარულის ალი ისეთი რამაა, ჩოგნის მარჯვედ მქნევსაც და ტაქსის მძღოლსაც ერთნაირად ედება...

ეს ჩვენი ტომაშ ბერდიხი ესთერის ლამის ყველა ცუნდრუკსა და ახირებას ასრულებს. ამას წინათ სატრფოს ფოტოსესიებში მონაწილეობაზეც კი დათანხმდა და ფოტოკამერის წინ გამოცდილი მოდელივით იპოზიორა. რასაკვირველია, იმ დროს სატრფოც გვერდს უმშვენებდა...

**გიორგი შოთაძე**

### ◎ ეროვნული აკადემია

# ფართო გაგებით...

**წელიწდეულის „ქართული დიპლომატიის“ მე-16 ტომი, 2013 წლით დათარიღებული, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტის ეგიდით გამოვიდა (მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი). საგულისხმოა, რომ სარედაქციო კოლეგიაში, ქართველ მკვლევარებთან ერთად, შედიან ნიკოლაი დიკო (მოსკოვი) და ჰიროტაკე მაედა (ტოკიო).**




გამოშვება შედგება შემდეგი 4 განყოფილებისაგან: ქართული დიპლომატიის ისტორია, მსოფლიო დიპლომატიის ისტორია, წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია, „საქართველოს ისტორია. I განყოფილება 7 ნაშრომს მოიცავს, II – 8 ნაშრომს, III – 7-ს (რომელთაგან 2 რეცენზიაა), IV კი – 2-ს. დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი: ლუიზა შენგელია, „ნადირ შაჰის ურთიერთობა საქართველოსთან (ირან-საქართველოს ურთიერთობა XVIII საუკუნის მეორე მეოთხედში)“; ალექსანდრე დაუშვილი, „კიდევ ერთხელ რუსეთ-საქართველოს 1920 წლის ხელშეკრულების შესახებ“; ვახტანგ გურული, „რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირება სამხრეთ კავკასიაში (1774-1879 წწ.)“; ომარ გოგიაშვილი, „ილიას შეხედულებანი ბისმარკის დიპლომატიის შესახებ“; ნიკო ჯავახიშვილი, „ზურაბ ავალიშვილის ბიოგრაფიის ცნობილი და უცნობი ფურცლები“; გოჩა საითიძე, იზა ალლაძე, „გერმანელი მეცნიერი როდერიხ ფონ ერკერტი საქართველოს შესახებ (XIX საუკუნის 80-იანი წლები)“; ჯუანშერ ვათეიშვილი, „XIII საუკუნის ფრანგული წარმომავლობის საბუთი: თამარ მეფის განსასვენებლის დადგენის საკითხისათვის“...

ამ წერილის ავტორს „გულმან როგორ გაუძლოს“, რომ გაზეთის მკითხველს არ მიაწოდოს ორი ადგილი როდერიხ ფონ ერკერტის ნაშრომიდან „ქართველები, ამ სიტყვის ფართო გაგებით“, რა თქმა უნდა, გოჩა საითიძისა და იზა ალლაძის გამოკვლევაში მოყვანილი: „სამ მტრულ მეზობელთან – თურქებთან, სპარსელებთან და კავკასიის მთის ხალხებთან, განსაკუთრებით ავარებთან, ბრძოლამ, შინაურმა შუღლმა და სამოქალაქო ომებმა გადაღალა და დაასუსტა ქართველები. მათ სხვა არა დარჩენოდათ რა გარდა იმისა, რომ სამუდამოდ რუსების ხელში აღმოჩენილიყვნენ. ამ დროიდან, XIX საუკუნის დასაწყისიდან, იქ, როგორც იქნა, ხანგრძლივმა მშვიდობამ, უსაფრთხოებამ, წესრიგმა და კანონიერებამ დაისადგურა“ – ეს ერთი; „ქართველები, ამ სიტყვის ფართო გაგებით, არა მარტო არისტოკრატიული-თავადაზნაურებად და გლეხებად დაყოფილი, არამედ, საერთოდაც, გარეგნობითა და სულიერებით დახვეწილი ხალხია. აღმოსავლეთმა, საკუთარი თვალში საცემი თვისებებით, თავისი კვალი დაამჩნია ქართველთა ბუნებას. მათ სიმამაცეს, საბრძოლო სულისკვეთებას, მანერებს, ადათ-წესებს, ჩაცმულობას, სტუმართმოყვარეობას, უზრუნველყოფას. ამას ემატება სრული გულგრილობა პროგრესისადმი, დრომოჭმულზე ჩაბღაუჭება და, საერთოდ, გონებრივი და ფიზიკური სიზანტე“ – ეს მეორე. დამეთანხმებით, ორივე ციტირება ღირს დაფიქრებად...

წელიწდეულის ეს ტომი ჩინებული პოლიგრაფიულობით დაუსტამბავს გამომცემლობა „არტანუჯს“. საერთოდ, ალბათ შესაფერისი მომენტია კმაყოფილების გამოსათქმელად იმის გამო, რომ ეროვნული აკადემია ქვეყნის მართლაც რომ ძნელბედობის ჟამს ახერხებს და განაგრძობს ამგვარი შთამბეჭდავი მეცნიერული პროდუქციის ბეჭდვას...

**თამაზ ებანოიძე**

### ◎ წარდგინება

**საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადამია, აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი კავშირი აწყობს ცნობილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ჯანო ჯანელიძის ერთტომეულის პრეზენტაციას.**

**წიგნის პრეზენტაცია შედგება 23 სექტემბერს, 17 საათზე მწერალთა სახლში (მაჩაბლის ქ. №13).**

**ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის ს/კ. ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ინფექციონისტი, საქართველოს ინფექციონისტთა, ჰეპატოლოგთა, პარაზიტოლოგთა და მიკრობიოლოგთა ასოციაციის თავმჯდომარე, აკადემიკოსი**

**ეთერ ბოცვაძე**

**და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

---

**თემურ გერსამია, თამაზ ცინცაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქალბატონი**

**ანჟელა ნინუა-დოლიძე**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

### ◎ კრიმინალი

## „ლეკიანობა“ კახეთში

**კახეთში, ახალგაზრდა მამაკაცის გატაცების ფაქტზე სამართალდამცავებმა ორი პირი დააკავეს. კრიმინალური შემთხვევა გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში მოხდა. 28 წლის შოთა გორგიშელი, მისთვის უცნობმა პირებმა მაშინ გაიტაცეს, როცა ის მეზობელ სოფელში გადაადგილებას ცდილობდა. გამტაცებლებმა ის ავტომანქანაში მოტყუებით ჩასვეს და მთელი დღის განმავლობაში დატყვევებული ჰყავდათ. ოჯახს კი გამოსასყიდის სახით 300 ლარს სთხოვდნენ. ახალგაზრდამ თავის დაღწევა დღის ბოლოს მოახერხა.**

**დანაშაულში ეჭვმიტანილები გურჯაანის პოლიციამ დააკავა. მათ ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, 10 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.**

**ინტერპრესი**

### ◎ ინფორმაცია

# შემცირდება თუ არა საკეისრო კვეთები?

**„საკეისრო კვეთის პროცენტული რაოდენობა წარმოუდგენელ, ალოგიკურ ზღვარზეა ასული“, – ამის შესახებ შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ ჟურნალისტებს განუცხადა.**

მისივე განმარტებით, სწორედ აღნიშნულს უკავშირდება ამ მიმართულებით სამინისტროს მიერ გადადგმული ახალი ნაბიჯები.

– ნებისმიერ მიმართულებას, მათ შორის მშობიარობას სჭირდება სამედიცინო ხარისხის კონტროლი. ეს ჩვენი ღონისძიებებიც სწორედ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები იყო, რადგან საკეისრო კვეთის პროცენტული რაოდენობა წარმოუდგენელ, ალოგიკურ ზღვარზე იყო ასული, – განაცხადა მინისტრმა.

მისივე განმარტებით, აღნიშნულს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები ჰქონდა.

### ◎ მნემოზინას გაკვეთილი

**გამოკვლევებით დადგინდა, რომ მოგონებად ქცეული ნებისმიერი მოვლენის აღქმა დროთა განმავლობაში შესაძლოა წარმოუდგენლად შეიცვალოს.**

ჩვენი მეხსიერება წარსულის ზუსტი ასლი არასდროს არის, რაც სახელოვანი კემბრიჯელი ფსიქოლოგის ფრედერიკ ბარტლეტის ცდამ დაამტკიცა. იგი გამოსაცდელ სტუდენტებს უჩვეულო ნახატს აჩვენებდა და მეხსიერებით მის აღდგენას სთხოვდა, რომლის გამეორებას რამდენიმე დღის მერე სთავაზობდა, მერე ერთი კვირის შემდეგ და ასე რამდენჯერმე. ბოლოს ყველა ნახატი თანმიმდევრულად რომ დაალაგა, დაინახა, რომ ყოველი მომდევნო გამოსახულება წინასგან განსხვავდებოდა, ბოლო კი ორიგინალს საერთოდ არ ჰგავდა. მაგრამ, სტუდენტები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ზუსტად იმას იმეორებდნენ, რაც თავდაპირველად ნახეს!

ბარტლეტის თქმით, **მოგონება – ეს შემოქმედებითი რეკონსტრუქციაა, საკუთარი პირველი შთაბეჭდილების ხელმეორედ განცდის მცდელობა, ძველი ინფორმაცია კი ტვინში „ხელახლა იწერება“, ახლით „ჩაინაცვლება“. როცა წარსულს ვიგონებთ, ჩვენ ჯერ კონკრეტული მოვლენის შესახებ უწინდელი ინფორმაცია უნდა წავშალოთ და ზედ ახალი მოგონება „დავადოთ“. საბოლოო ანგარიშით მოგონება მოვლენის შესახებ თანდათან სულ უფრო ნაკლებად შეესაბამება სინამდვილეს.**

არსებითად, ჩვენს ტვინში ფაქტების ფილტრაცია ხდება. მოვლენის მოხდენის პირველ მილიწამებში ჩვენ მისი ზუსტი სახე გვახსოვს, მაგრამ შემდგომ გრძელვადიანი მეხსიერება ხშირად რეალობის ისეთ ტრანსფორმირებას ახდენს, რომ ამოსავალი ობიექტების ამოცნობა უკიდურესად რთულდება.

შეცდომები კი, კონკრეტულად, ასე წარმოიშვება: თავდაპირველად ჩვენი თავის ტვინი უამრავ წვრილმანს აღიქვამს, მაგრამ მათ მალევე ივიწყებს. ჩვეულებრივ ეს დეტალები მართლაც არ არის მნიშვნელოვანი, ამიტომ ჩვენ ვერც კი ვამჩნევთ, თუ რამდენ ინფორმაციას ვკარგავთ. მაგრამ, აი, უცბად წარმოიშვა მომხდარის გახსენების აუცილებლობა. მაშინ ჩვენ ტვინს ვძაბავთ, ის კი მოზაიკაში ცარიელ უჯრებს ხედავს. რა უნდა ქნას ამ დროს? **იგი სასწრაფოდ იწყებს დავიწყებული დეტალების მიახლოებით „მოგონებას“ – დამახინჯებების მიზეზიც ეს არის.**

## ტვინის „გაფუჭებული ტელეფონი“



„მეორე ხერხს“ კი ტვინი მაშინ იყენებს, როცა გადაწყვეტილების მიღება უწევს, ღირს თუ არა კრიტიკულ ვითარებაში ნაჩქარევი დასკვნების გამოტანა – იდეალური გადაწყვეტილების მისაღებად დრო არ არის. ვერდიქტს ტვინი იმაზე დაყრდნობით იღებს, თუ რა არის კონკრეტულ ვითარებაში უფრო მნიშვნელოვანი: სისწრაფე თუ სიზუსტე? და შემთხვევათა უმრავლესობაში უპირატესობას სისწრაფეს ანიჭებს. **მოვლენათა აღდგენისას კი ემპირიული გზით მიდის, ანუ გრძნობების გამოცდილებას და არა ლოგიკას ენდობა.**

ტვინი მხოლოდ მაშინ არ ტყუის, როცა ის ფაქტებს აუჩქარებლად და გულდასმით აანალიზებს, ვთქვათ, მათემატიკური, ან ლოგიკური ამოცანების ამოხსნისას, რადგან ისინი დიდ ძალისხმევას მოითხოვენ. მაგალითად, სცადეთ უცბად ამოხსნათ ამოცანა: **საათი და ნემსი ერთად ლარი და ათი თეთრი, ხოლო საათი, ნემსზე ლარით მეტი ღირს. რა ღირს ნემსი? ადამიანთა უმრავლესობა უპასუხებს „ათი თეთრი“, რაც ინტუიციური, თუმცა კი არასწორი პასუხი იქნება, რადგან საათი ღირს ლარი და ხუთი თეთრი, ნემსი კი – ხუთი თეთრი.**

განსაკუთრებით სახიფათოა მოგონებების დამახინჯება სასამართლო გარჩევების დროს, როცა მსჯავრდებულის ბედი შესაძლოა მოწმეთა ჩვენებებზე იყოს დამოკიდებული. ვაშინგტონის უნივერსიტეტის ფსიქოლოგმა ელისაბედ ლოფ ტუსმა, მეხსიერების საკითხებში საქვეყნოდ აღიარებულმა სპეციალისტმა, დაადგინა, რომ **საქმის ვითარება მოწმეს საკმაოდ ზუსტად ახსოვს, როცა მის შესახებ პირველად ყვება. მაგრამ, ყოველ შემდეგ ჯერზე სიზუსტე იკლებს, ადამიანი, ფაქტობრივად, არა ორიგინალურ მოვლენას, არამედ მის შესახებ დროში ბოლო მოგონებას იხსენებს.**

ტვინის მიერ მოგონებათა შევსების ფენომენს ფსიქოლოგები ამჟამად ინტენსიურად სწავლობენ. მაგალითად, მკვლევარები ცრუ მოგონებების სტიმულირებას ლაბორატორიული ცდების დროს თავისუფლად ახერხებენ. მაგალითად, გამოსაცდელებს აჩვენეს მონათესავე ქვეტექსტის მქონე სიტყვების ჩამონათვალი – ნაყინი, თაფლი, ნამცხვარი, კანფეტი, შოკოლადი, ნუგა, მოგვიანებით კი ჰკითხეს, იყო თუ არა ნუსხაში სიტყვა „შაქარი“. მოხალისეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ დადებითი პასუხი გასცა, თუმცა ეს სიტყვა ჩამონათვალში არ ყოფილა.

ფაქტობრივად, გამოდის, რომ საკუთარ ტვინს მთელი ცხოვრება „გაფუჭებულ ტელეფონს“ ვეთამაშებით. ბოლოს კი ამის ასეთ სახალისო შემოწმების ხერხს შემოგთავაზებთ: **ახლობლებს ყველასათვის ერთიანი რომელიმე მოვლენის, ვთქვათ, საოჯახო წვეულების, ბუნებაში გასვლის და ა.შ. წერილობით აღწერა თხოვეთ და დაინახავთ, რომ თითოეული მათგანი მომხდარის დეტალებს სხვებისგან არა მარტო რამდენადმე განსხვავებულად გაიხსენებს, მაღალია იმის ალბათობაც, რომ ერთი კაცი მაინც ისეთ ეპიზოდს აღწერს, რომელიც, სხვების აზრით, საერთოდ არ ყოფილა!**

## შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მესამე პროექტის დამატებითი დაფინანსება (TEWHIP AF)

განმახორციელებელი სააგენტო: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

ქვეყანა: **საქართველო**

პროექტის ნომერი: **5108-GE**

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: **TEWHIP AF/CS/ICS-04**

კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **გარემოს დაცვის კონსულტანტი**

ტენდერის სახეობა: **საერთაშორისო შეჯიბრებითი შერჩევა**

კონტრაქტორი: **მაია ვაშაკიძე**

მისამართი: **ბალანჩივაძის ქ. შენობა I, ბინა 47, თბილისი 0171, საქართველო.**

კონტრაქტის ღირებულება: **45,000.00 ლარი**

კონტრაქტის ხანგრძლივობა: **1 (ერთი) წელი**

— — — — — — — — —

## Contract Award Notification

Project Name: **Third East West Highway Improvement Project Additional Financing (TEWHIP AF)**

The project implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**

Country: Georgia

Project Number: 5108-GE

Bid/Contract Reference No: **TEWHIP AF/CS/ICS-04**

Scope of Contract: **Environmental Consultant**

Bid type: **International Competitive Bidding**

Contractor: **Maia Vashakidze**

Address: **Balanchivadze str. Building I, apt.47, Tbilisi 0171, Georgia.**

Total contract cost: **45,000.00 GEL**

Contract duration: **1 (one) year**

## დაიჯესტი

### ბუნებრივი შერჩევა

**ძლიერმა მიწისძვრამ აღმოსავლეთ იაპონიაში 2011 წელს დაარღვია ამ რეგიონში ახალდაბადებულთა სქესების შეფარდების ბალანსი გოგონების სასარგებლოდ, აღმოაჩინეს მკვლევარებმა კალიფორნიის უნივერსიტეტიდან.**

მათ შეისწავლეს მონაცემები ბავშვთა დაბადების შესახებ იაპონიის ყველა პრეფექტურაში 2006 წლის აპრილიდან 2011 წლის დეკემბრამდე. აღმოჩნდა, რომ რეგიონში, რომელსაც ყველაზე მეტად შეეხო სტიქიური უბედურება, დაიბადა 2,2 პროცენტით ნაკლები ბიჭუნები, ვიდრე საჭიროა სქესთა შეფარდების ნორმალური ბალანსის შენარჩუნებისთვის. ეს ფენომენი პირდაპირ მოწმობს ბუნებრივი შერჩევის მუშაობის შესახებ. ჯერ ერთი, დედის მიერ გადატანილი სტრესი უფრო ძლიერ ზეგავლენას ახდენს მამაკაცის მ ქესის ნაყოფის სიცოცხლისუნარიანობაზე, ვიდრე ქალისაზე, ამიტომ სტრესულ სიტუაციაში აღმოჩენილ ქალებს უფრო ხშირად ეშლებათ მუცელი ბიჭებზე.



მეორეც, ბიჭები სტატისტიკით გოგონებზე უფრო დიდები არიან და ამიტომ დედის ორგანიზმიდან ითხოვენ მეტ რესურსებს მუცლად ყოფნისა და მშობიარობის დროს. ნაყოფის სქესზე დამოკიდებულია ასევე მისი ადაპტაციური უნარი — თავდაპირველად გოგონები უფრო სიცოცხლისუნარიანები არიან. მძიმე პერიოდებში პოპულაციურ მასშტაბში დედისთვის უფრო ხელსაყრელია შობოს გოგონა, ვიდრე ბიჭუნა. თანაც, შერჩევა, როგორც გამოკვლევის შედეგებმა აჩვენეს, ხდება ჯერ კიდევ ჩასახვის ეტაპზე.

კიდევ ერთი რეგულატორი შეიძლება იყოს ტესტოსტერონის დონის დაწევა სტრესის გადამტან მამაკაცებში, რასაც მივყავართ იმ სპერმატოზოიდების რაოდენობის შემცირებასთან და ხარისხის გაუარესებასთან, რომლებსაც აქვთ ქრომოსომა, რაზეც არის დამოკიდებული შთამომავლობის მამაკაცური სქესი.

### მამები და შვილები

**ხანდაზმული მუშაკები უფრო საიმედო და საზრიანები არიან, ვიდრე ახალგაზრდები, მათ ნაკლები „წარუმატებელი დღეები" აქვთ. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ გერმანელი მკვლევარები მაქს პლანკის ინსტიტუტიდან. კომპანიების მფლობელები მიიჩნევენ, რომ „მოხუცები" ბევრს ბუზღუნებენ, არ შეუძლიათ აჰყვნენ თანამედროვე რიტმს, არ „მეგობრობენ" ტექნიკასთან, არ სურთ განვითარებაო... მაგრამ ეს ყოველივე არ შეესაბამება სინამდვილეს.**

მკვლევარებმა ერთმანეთს შეადარეს 20-31 წლისა და 65-80 წლის ასაკის მუშაკები, სთხოვეს მათ გაევლოთ მთელი რიგი ტესტები, რომლებიც განსაზღვრავენ მეხსიერებას, სწრაფ რეაქციასა და საზრიანობას. ტესტები 100 დღის განმავლობაში რამდენჯერმე გაიმეორეს (განისაზღვრებოდა „წარუმატებელი დღეების" რაოდენობა). ყველა მაჩვენებლის მიხედვით, ხანდაზმულები სჯაბნიდნენ ახალგაზრდებს.

ეს ფენომენი აისახება იმით, რომ ხანდაზმულებს აქვთ მოტივაციის უფრო მაღალი დონე, სტაბილური განწყობილება და მათი სამუშაო რიტმი ყალიბდებოდა ათეული წლების განმავლობაში.

### ცოდვებზე შვილთაშვილები აგებენ პასუხს?

**მოწევა ფეხმძიმობის დროს აფუჭებს მემკვიდრეების სამი თაობის ჯანმრთელობას, დაადასტურეს ამერიკელმა მეცნიერებმა. ასთმის განვითარების რისკი ადრეულ ასაკში გაზრდილი აქვთ იმ ქალის არა მხოლოდ შვილებსა და შვილიშვილებს, ვინც ეწეოდა ფეხმძიმობის დროს, არამედ მის შვილთაშვილებსაც.**

შრომის ავტორები მიიჩნევენ, რომ მათი აღმოჩენა მთლიანად ცვლის დღეს არსებულ წარმოდგენას ბავშვებში ასთმის გაჩენის მექანიზმის შესახებ.

### შეხვედრა... ნაოჭების მიხედვით

**თურმე, ნაოჭები გავლენას ახდენენ ჩვენს დამოკიდებულებაზე თანამოსაუბრისადმი.**

მეცნიერები პენსილვანიის უნივერსიტეტიდან მივიდნენ დასკვნამდე, რომ მიმიკური ნაოჭები წარბებს შორის და თვალების გარშემო ადამიანს აძლევს პირქუშ იერს და მისი სახის გამომეტყველება შეიძლება ბოროტიც კი გახადოს, როგორც გაზეთი „დეილი მეილი" წერს. მოხალისეთა ჯგუფმა, რომლებსაც ამერიკელმა სპეციალისტებმა შესთავაზეს, შეეფსებინათ 64 ადამიანის ფოტოგრაფები სახის ნეიტრალური გამომეტყველებით, გამოთქვეს თავიანთი შთაბეჭდილებები. იმ ადამიანთა სახეები, რომლებიც უფრო ხანდაზმულებად გამოიყურებოდნენ, მათ აღიქვეს, როგორც ნაკლებად ბედნიერები. ამის შემდეგ ჯგუფის მონაწილეებს მისცეს სურათების კიდევ ერთი კრებული იმ ადამიანთა სახეებით, რომლებიც გამოხატავდნენ სხვადასხვა ემოციებს — მწუხარებას, სიხარულს, სიბრაზეს, უკმაყოფილებას...

ექსპერიმენტის მონაწილეები უფრო ხანდაზმული ადამიანების სახეებზე ხედავდნენ უარყოფით ემოციებს მაშინაც კი, როდესაც ისინი სიხარულს გამოხატავდნენ. გამოკვლევის ავტორების სიტყვებით, სწორედ მიმიკური ნაოჭები უშლიდნენ ხელს ზუსტად ამოეცნოთ ემოციები. ნაოჭები ტუჩების კუთხეებში სახის გამომეტყველებას ხდის უფრო მწუხარეს, წარბებს შორის — უფრო მრისხანეს, შუბლზე კი — უფრო მოღუშულს.

XOPOBBE

**გამოკითხვა**

**რას აკეთებთ, როდესაც თავი გტკივათ?**

**43 პროცენტი — ვსვამ აბებს.**

**39,5 პროცენტი — ვცდილობ უწამლოდ გამოვიდე — ტკივილს ვიხსნი მაგარი ჩაით, გასეირნებით, ძილით...**

**17,5 პროცენტი — თავი არასოდეს მტკივა.**

**სულ გამოკითხვაში მონაწილეობა 1188 კაცმა მიიღო.**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

## ჟურნალ-გაზეთებიდან



### ახალგორის ჩაკეტვა გაურკვეველი ვადით გადაიდო

დღეს ახალგორის მიმართულებით სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო საზღვარი ქართული სანომრენიშნებიანი მანქანებისთვის არ ჩაიკეტება. ცხინვალიდან ცნობილი გახდა — 18 ივლისის ბრძანება იმის შესახებ, რომ 18 სექტემბრიდან ვერც ერთი მანქანა ქართული სანომრე ნიშნით დე ფაქტო საზღვარს ვეღარ გადაკვეთს, ჯერჯერობით ძალაში არ შევა.

„ჩაკეტვით აუცილებლად ჩაიკეტება, თუმცა როდის — ეს ჯერ გადაწყვეტილი არ არის. საკითხის გადაწყვეტა სწორედ ახლა მიმდინარეობს", — ამბობს დე ფაქტო ხელისუფლების ერთ-ერთი კომპეტენტური პირი. ოქტომბრამდე, ან საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებამდე — ასეთია სავარაუდო ვადები, რომლებიც ცხინვალიდან სახელდება.

„რეზონანსი"

### შემოვლითი სარკინიგზო პროექტი „უყაირათოა"

საქართველოს მთავრობის მრჩეველი გია ხუხაშვილი თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტს „წარმოუდგენლად უყაირათოს" უწოდებს. მისი თქმით, პრეზიდენტი აჭარბებს — სამუშაოების 80 პროცენტი შესრულებული არ არის, თუმცა პროექტის „სერიოზული ნაწილის" შესრულება მის შეჩერებას ხელს ვერ შეუშლიდა.

„ეს პროექტი ხარჯიანია არა მხოლოდ მშენებლობის, არამედ ექსპლოატაციის პროცესშიც. ის საზიანოა რკინიგზისთვისაც. პრეზიდენტმა და ქალაქის მერმა თავის დროზე აბსურდული პროექტი ჩაიფიქრეს და რადგან მათ ფული გადაყარეს, ჩვენც იგივე გავაგრძელოთ?! — განაცხადა ხუხაშვილმა.

„ალია"

### რაზე ვერ შეთანხმდნენ ბიძინა ივანიშვილი და სალომე ზურაბიშვილი

დამოუკიდებელი უფლებადამცველის დიმიტრი ლორთქიფანიძის აზრით: — ქალბატონი სალომე იყო უპირობო მხარდამჭერი ბიძინა ივანიშვილის და, ბუნებრივია, მას ჰქონდა სრულიად კანონიერი განცდა იმისა, რომ ივანიშვილის პოლიტიკურ გუნდში მისი შესაბამისი გამოცდილებისა და პროფესიიდან გამომდინარე, მოინახებოდა ღირსეული ადგილი. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ მაია ფანჯიკიძე რატომღაც უკეთესი კანდიდატურა აღმოჩნდა, სალომე ზურაბიშვილთან მიმართებაში. მე ვფიქრობ, რომ ეს იყო ძალიან დიდი და, ამავე დროს, პირველი შეცდომა, რომელიც დაუშვა უშუალოდ ბიძინა ივანიშვილმა, იმიტომ, რომ მაია ფანჯიკიძის ადგილი იქ, სადაც სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურის შესაძლებლობა არსებობდა, არ უნდა ყოფილიყო საერთოდ განხილული. რაზე ვერ შეთანხმდნენ, ვერ გეტყვით...

„ახალი თაობა"

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

— **მონია**, მაინც დიდ ცოდვად მიმაჩნია, რომ ჩვენმა გოგომ ბავშვი ქორწილამდე გააჩინა...

— რატომ არის ცოდვა? საიდან ეცოდინებოდა ბავშვს, როდის იქნებოდა ქორწილი?

* * *

— რას ნიშნავს ერთი შავი ფეხი?

— არ ვიცი.

— ცალფეხა ზანგს. ორი შავი ფეხი?

— ორფეხა ზანგს?

— არა, ორ ცალფეხა ზანგს. სამი შავი ფეხი?

— სამ ცალფეხა ზანგს?

— არა, ეს როიალია!

* * *

— **თუ** გაიგეთ, რომ ერთმა ტიპმა თურმე სასამართლოში ღმერთს უჩივლა და მოიგო კიდეც საქმე?



— მაინც როგორ?

— მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო.

* * *

**მიდის** მღვდელი ქუჩაში. უცებ ყავარჯნიანი მოხუცი მიუახლოვდება.

— მამაო, წმინდა მამაო, სასწაულია, ნამდვილი სასწაული! მე 75 წლისა ვარ, ჩემი ცოლი კი — 23-საა. და სულ ახლახან მან ბიჭი გამიჩინა.

— კი, ნამდვილად სასწაულია, შვილო ჩემო! მეც შემემთხვა ასეთი რამ. მივდივარ ერთხელ მონასტერში ტყის გავლით. უცებ დათვი არ გამეჩითა? უკანა თათებზე შედგა და ჩემკენ გამოქანდა. მე კი კვერთხისა და ხურჯინის მეტი არაფერი მაქვს. აღვმართე კვერთხი და ვყვირი: „ბახ— ბახ!" და დათვიც უსულოდ ეცემა.

ეს მართლაც სასწაულია, წმინდა მამაო! ზუსტად ისეთი, როგორიც მე გადამხდა.

— არ ვიცი, შენ რა სასწაული შეგემთხვა, ჩემს შემთხვევაში კი, შემოვტრიალდი და ჩემს ზურგს უკან ნამდვილი მონადირე დავინახე.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24